პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ა. კ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

კვირა, 23 აგვისტო 1936 წ. № 195 (4694)

უსაზღვროა ხალხის გულისწყრომა, სასტიკია მისი რისხვა!
ხალხი მოითხოვს ჩვენი ქვეყნის პირსისხლიანი მტრების განადგურებას პროლეტარული დიქტატურის მახვილით.
დეე, იცოდნენ ფაშისტური გესტაპოს აგენტებმა, ტროცკისტულ-ზინოვიევურმა თეთრ-ბანდიტებმა, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი პლებეურად გაუსწორდება მათ!

ტროცკი-ზინოვიევი-კამენევი-გესტაპო

დამთავრდა სასამართლო გამოძიება ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის საქმის გამო. ფაქტები შემოწმებული და დადასტურებულია. გამოაშკარავდა მთელი ჯაჭვი იმ შემზარავ დანაშაულთა, რომლებთან შედარებით ფერმკრთალად მოჩანს მსოფლიო ისტორიის ყველაზე სისხლიანი და ყველაზე ბინძური ფურცლები.

სასამართლოს წინაშე და მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე გულისამრევ წყებად გაიარეს შეთქმულებათა დაქოქილმა ორგანიზატორებმა, უბილწესი თვალთმაქცობის ოსტატებმა, მუშათა კლასის გამცემლებმა და სამშობლოს მოღალატეებმა. ერთნი მათგანნი თავის თავს ზინოვიეველებს უწოდებდნენ, მეორენი — ტროცკისტებს. მაგრამ ისინი თითონვე ამბობდნენ, რომ ამ დაყოფას წმინდა ფორმალური ხასიათი აქვს. იმიტომ, რომ დიდიხანია გაჰქრა ყოველივე ის, რასაც დამოკიდებულება ჰქონდა იდეურ განსხვავებასთან, პოლიტიკურ პლატფორმებთან. დარჩა ერთი საერთო რამ—პირადი ძალაუფლების მოუკვლელი წყურვილი, გაუმაძღარი სიძულვილი მუშათა კლასისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი. და დარჩა მხოლოდ ბრძოლის ერთი უბილწესი მეთოდი: ქურდულ მკვლელობათა მეთოდი.

მუშათა კლასის ამ პირწავარდნილ გამცემლებთან, საბჭოთა სამშობლოს მტრებთან და მოღალატეებთან ერთად, რომლებიც განდევნილი არიან კომუნისტური პარტიიდან, პროლეტარული სასამართლოს წინაშე გაიარეს იმ ადამიანებმაც, რომლებიც არასოდეს არ ყოფილან მუშათა კლასის პარტიის რიგებში, რომლებიც მუდამ უცხონი და მტრულად განწყობილნი იყვნენ საბჭოთა კავშირის მიმართ. ისინი სასამართლოში თავიანთ თავს უწოდებდნენ ტროცკისტებს, რომლებიც გადმოსტყორცნეს საბჭოთა კავშირში საკ. კ. პ. (ბ)-ისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მკვლელობის მოსაწყობად. მაგრამ მათ არ შეეძლოთ დაემალათ, რომ ისინი ან გერმანიის ფაშისტური ოხრანკის პირდაპირი თანამშრომლები არიან, ანდა ახლოს დგანან მასთან და სარგებლობდნენ მისი დახმარებით.

გესტაპოს ამ აგენტებსა და ტროცკის, კამენევსა და ზინოვიევს შორის არავითარი განსხვავება არ იყო არც შეხედულებებში, არც დანაშაულებრივი მოქმედების ხერხებში. ზინოვიევი და ფაშისტთა აგენტი ვ. ოლბერგი, სმირნოვი და ფაშისტის ფრანც ვაიცის თანამშრომელი ნ. ლურიე, კამენევი და მ. ლურიე (ემელი)—ყველა ისინი არიან არა მარტო ერთი ბოროტმოქმედი ყაჩაღური ბანდის წევრები, არამედ ერთი ჯილაგის ადამიანებიც, რომლებსაც ახასიათებს ერთი საერთო პროფესიული თვისება—სისხლის სამართლის ბანდიტიზმის თვისება.

ტროცკისტები და ზინოვიეველები—ისინი ერთ თანასაზოგადოებას შეადგენენ. ისინი თავიანთ ორგანიზატორად, ბელადად მასწავლებლად თვლიან ტროცკის. მან გააფორმა მათი ტერორისტული სულისკვეთება. სასამართლო პროცესის დოკუმენტალური მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას: განადგურებულია და სავსებით და საბოლოოდ უნდა მოისპოს მთელი რაზმი ტროცკი-ზინოვიევის მიერ შექმნილი ტერორისტული ორგანიზაციისა, რომელიც თითონაც არის გერმანიის ფაშისტური ოხრანკის (გესტაპოს) ტერორისტულ ზრახვათა გამტარებელი და შემსრულებელი.

დამტკიცებულია, უდაოდ დადასტურებულია, რომ ტროცკიმ თავის მომხრეებში პირველმა აშკარად გადაისროლა ტერორისტული ლოზუნგი: „თავიდან მოვიშოროთ სტალინი". ეს იყო მოწოდება ტერორისტული მოქმედებისაკენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. 1931 წელს ტროცკი, საბჭოთა კავშირში თავისი წარმომადგენლის საშუალებით, ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაცის ხელმძღვანელის ი. ნ. სმირნოვის საშუალებით, იძლევა დირექტივას: შეუდექით ტერორს. იგი ამას უმეორებს ი. ნ. სმირნოვს 1932 წელს ი. გავენის საშუალებით. ამის თაობაზე იგი ელაპარაკება ძველ ტროცკისტულ არალეგალურ მუშაკს გოლცმანს. იგი ამაზე სწერს დრეიცერს.

სწორედ ასე, ტროცკისაგან მიღებული ტერორისტული დირექტივის საფუძველზე ყალიბდება და მკვლელობათა მოწყობას იწყებს ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი. ტროცკი ამ ბლოკის მთელი მოქმედების კურსში იმყოფება. მასთან გაბმულია მუდმივი კავშირი. ამ ბლოკის საფუძველზე, ზინოვიევისა და კამენევის პირდაპირი დირექტივების თანახმად, ავაზაკურად მოჰკლეს ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილი სერგეი მირონის-ძე კიროვი.

საზღვარგარეთ ტროცკი იყენებს თვალთმაქცობის იმავე სისტემას, რომელსაც საბჭოთა კავშირში ახორციელებენ ტროცკისტები და ზინოვიეველები. იგი გაზეთებში სწერს, რომ მარქსიზმი არ იწყნარებს ინდივიდუალურ ტერორს. იგი თავის საიდუმლო წერილებში, თავის დირექტივებში, რომლებსაც არალეგალურ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას უგზავნის, სწერს, რომ ტროცკის „მარქსიზმი" აკურთხებს ინდივიდუალურ ტერორს საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

მაგრამ ტროცკი არ სჯერდება იმ მუშაობას, რომელსაც საბჭოთა კავშირში ასრულებენ სმირნოვი, ზინოვიევი და კამენევი. იგი გზავნის თავის საკუთარ აგენტებს. სარგებლობს რა ბურჟუაზიულ მთავრობათა სტუმართმოყვარეობით მფარველობით, იგი ჰქმნის თავის ორგანიზაციებს ევროპაში, კოპენჰაგენშიაც და ბერლინშიაც. ტერორისტები მისგან ღებულობენ ინსტრუქციებს—უშუალოდ და თავისი შვილის სედოვის — ტროცკისა და ბანდიტებს შორის შუამავლის მეშვეობით.

კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ, რომლის აგენტიც დიდი ხანია ტროცკი არის, იცის ამ „მუშაობის" ამბავი. ევროპის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ყველაზე ყაჩაღური რაზმი, გერმანიის ფაშისტური ოხრანკა (გესტაპო) თავის სამსახურს სთავაზობს ტროცკის. ტროცკი სანქციას აძლევს ბერლინელ ტროცკისტთა შეთანხმებას გესტაპოსთან.

გესტაპოს საბჭოთა კავშირში ჰყავს თავისი წარმომადგენელი — ფრანც ვაიცი. ტროცკის საბჭოთა კავშირში ჰყავს თავისი წარმომადგენელი—მ. ლურიე. ტროცკისტი თავის დანაშაულებრივ მუშაობას აერთიანებს ფაშისტთან ისინი ერთად ხელმძღვანელობენ ნათან ლურიეს ტერორისტულ ჯგუფს. სწორედ ასევე პრაღაში ტროცკის წარმომადგენელი ვ. ოლბერგი უკავშირდება გესტაპოს წარმომადგენელს პ. ოლბერგს. ისინი — ღვიძლნი ძმები არიან. საბჭოთა კავშირში ისინი საერთო საქმეს აკეთებენ: ამზადებენ პარტიისა და ქვეყნის ბელადებზე თავდასხმას.

ასე გადაიხლართნენ ერთ საზიზღარ გორგოლად ბანდიტები ტროცკიზმისა და ბანდიტები ფაშიზმისა. ასე შეიქმნა ტროცკი-ზინოვიევის და გესტაპოს კავშირი, რომელიც ახლა აღმოჩენილია. განსაზღვრა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა ტროცკიზმს მისცა — „კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმი"—კვლავ დადასტურებულია სინამდვილის სისხლიანი ფაქტებით.

ფაშიზმმა ბოროტმოქმედთ უჩვენა სამიზნე: ესროლონ კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. ტროცკიმ და ზინოვიევმა მუშათა კლასის გამცემლების მთელის გატაცებით, საზიზღარ ბანდიტთა მთელი შურისმაძიებლობით მოჰკიდეს ხელი ბილწ საქმეს. მათ თანამშრომლები ჰპოვეს გერმანიის ფაშისტურ ტერორისტულ ორგანიზაციებში. მათ მოახერხეს შექმნა ბანდიტური ჯგუფების ქსელისა, სადაც გერმანიის ფაშისტი ჯაშუშები საბჭოთა საზიზღარ თვალთმაქცებთან ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობდნენ.

სასამართლო პროცესმა თვალნათლივ დაგვანახვა, თუ ადამიანთა რა სიბინძურე იყო ამ ტერორისტულ ბანდებში, რა არამზადათა წრიდან აგროვებდნენ ტროცკი და გიმლერი (გესტაპოს უფროსი) თავიანთ ლაშქარს. მოსკოვის სასამართლოს პროცესი მიმდინარეობს სწორედ ისეთ დროს, როცა გამომჟღავნდა გესტაპოს არალეგალური მუშაობა ესპანეთში. ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი თანამონაწილენი აღმოჩნდნენ იმ დანაშაულებრივი ორგანიზაციისა, რომლის ცენტრი ბერლინში იმყოფება და ბინძურ თათებს აფათურებს მსოფლიოს ყველა კუთხეში ერთადერთი მიზნით: გააღვივოს ომის ხანძარი ფაშისტ ავანტიურისტთა სადიდებლად და გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესებისათვის.

გესტაპოს მოკავშირენი — ტროცკი-ზინოვიევი-კამენევი შემთხვევით როდი უნერგავდნენ თავიანთ მომხრეებს საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ინდივიდუალური ტერორის იდეებთან ერთად პორაჟენციზმის ბინძურ იდეებსაც.

ახლა მტერი ბოლომდეა გამომჟღავნებული. ფაშისტური ოხრანკის აგენტები დაჭერილი არიან ტროცკი-ზინოვიევის აგენტებთან ერთადერთ დანაშაულებრივ საქმეზე. კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმი განადგურებულია.

საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, როგორც ერთი კაცი, მოიცვა გულისწყრომამ ფაშისტური ტერორის ბანდიტთა წინააღმდეგ, რომლებმაც თავიანთი დანაშაულებრივი ხელი აღმართეს ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ბელადების, წინააღმდეგ, მთელი ექსპლოატირებული და ჩაგრული კაცობრიობის ბედნიერებისათვის საუკეთესო მებრძოლთა წინააღმდეგ. მკვლელთა მოსპობის მოთხოვნა ერთსულოვანია.

ჩვენთან არიან, ჩვენს გრძნობებს იზიარებენ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი, ყველა ქვეყნის მშრომელი გლეხები, ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები. წყევლა-კრულვა და შეჩვენება გამცემელ ტროცკისა, რომელმაც მუშათა კლასის ფაშისტურ ჯალათებში ჰპოვა მოკავშირეები თავისი ბინძური დანაშაულისათვის, საერთაშორისო პროლეტარიატის — მიერ წარმოთქმული გამანადგურებელი განაჩენი იქნება.

„პრავდის" მოწინავე, 22 VIII

რუსთაველის თეატრი მოსკოვში

მოსკოვი, 22 აგვისტო. დღევანდელ გაზეთებში დაბეჭდილია ინფორმაცია რუსთაველის თეატრის გასტროლების დაწყების შესახებ.

გაზეთები ხაზს უსვამენ მაყურებელთა მიერ ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის მიმართ გამართულ ოვაციას.

„ლიტერატურნაია გაზეტაში" დაბეჭდილია საუბარი ა. ვასაძესთან და ლ. ასათიანის ვრცელი წერილი თეატრის შემოქმედებითი გზების შესახებ.

ესპანეთის მთავრობის ჯარებმა მთელ რიგ ახალ გამარჯვებებს მიაღწიეს

პარიზი, 20 აგვისტო. ფურნიეს სააგენტო იუწყება, რომ მადრიდიდან მიღებული ცნობებით, გუშინ ირუნს ახლოს მეამბოხეებმა დიდი დამარცხება განიცადეს, თავდაპირველად მეამბოხეებმა, ორი ჰაეროპლანის დახმარებით, წინ წაიწიეს ქალაქისაკენ, მაგრამ შემდეგ მათ ფორტებიდან ყუმბარა დაუშინეს და უწესრიგოდ უკან დაახევინეს. ფლანგიდან მეამბოხეებზე იერიში მიიტანა რესპუბლიკელთა კოლონამ, რომელიც ბილბაოდან მოვიდა და ამ ბრძოლას მოუსწრო.

როგორც „ევრი" აღნიშნავს, ირუნის დამცველ რესპუბლიკელ— რაზმელთა რიცხვი უდრის 9 ათას კაცს. რაზმელები აღსავსე არიან გადაწყვეტილებით ბოლომდე იბრძოლონ.

ლონდონი, 21 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფის" სიტყვით, მეამბოხენი ახლაც ისევე შორს არიან თავის მიზნიდან, როგორც ერთი თვის წინათ. გაზეთი აღნიშნავს, რომ მთავრობის ჯარები კარგად არიან მომარაგებული სამხედრო საჭურველით. ისინი ყველაფერს, რაც საჭიროა, ღებულობენ ხმელეთით და ზღვით, ვინაიდან მეამბოხეთა სამხედრო გემები „ესპანია" და დაზიანებული კრეისერი „ალმირანტე სერვერა" ყუმბარას ვერ უშენენ სან-სებასტიანის სანაპიროებს. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მეამბოხეთა ჯარების სულიერი განწყობილება ცუდია.

პარიზი, 21 აგვისტო. როგორც ესპანეთიდან იუწყებიან, მეამბოხეთა მიერ ირუნზე შეტევის ახალი ცდები უშედეგოდ დარჩა. მთავრობის ჯარებმა დასწვეს ირუნის ახლომდებარე ტყე იმ მიზნით, რომ გაეწმინდათ მოედანი ქალაქის წინ და ამრიგად ბუნებრივი საფარი გამოეცალათ მეამბოხეთათვის ირუნზე მათი ახალი შეტევის შემთხვევაში.

ოვიედო სამთამადნო მუშების მიერ ახლაც ალყა - შემორტყმულია. სამთამადნო მუშები—200 მეტრის მანძილზე იმყოფებიან რუბინის ყაზარმიდან, რომელიც მეამბოხეებმა ციხე სიმაგრედ აქციეს. (ადს).

◇ ◇ ◇

დაწვრილებითი ცნობები ნავალპერალის ბრძოლების შესახებ

მადრიდი, 21 აგვისტო. დასტურდება, რომ რესპუბლიკელთა ჯარების კოლონამ პოლკოვნიკ მანგადის სარდლობით ნავალპერალში, გვადარამის ფრონტზე საგრძნობლად დაამარცხა ფაშისტ მეამბოხეთა კოლონა, რომელიც ავილის მხრიდან მიიმართებოდა მადრიდისაკენ. ბრძოლა მოხდა დედაქალაქიდან 70—80 კილომეტრის მანძილზე. ფაშისტ მეამბოხეებს, რომლებიც იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ 500 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

რესპუბლიკელთა ჯარებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და 6 ზარბაზანი. (ადს).

◇ ◇ ◇

რესპუბლიკელები გრენადიდან 5 კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან

ლონდონი, 21 აგვისტო. რესპუბლიკური ძალები გრენადას უახლოვდებიან. ახლა რესპუბლიკური ძალები გრენადიდან 5 კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან. 19 აგვისტოს მთავრობის ავიაცია მთელ დღეს ყუმბარას უშენდა ქალაქს. (ადს).

მეამბოხენი გადადიან მთავრობის ჯარების მხარეს

ლონდონი, 20 აგვისტო. „დეილი ჰერალდის" მადრიდელი კორესპონდენტის ცნობით, გვადარამის ფრონტზე მეამბოხეთა ჯარების შემადგენლობიდან 500 ცხენოსანი მთავრობის ჯარების მხარეს გადავიდა. (ადს).

◇ ◇ ◇

გააფთრებული ბრძოლა ესპანეთის ჩრდილოეთის ფრონტზე

ლონდონი, 21 აგვისტო. მადრიდიდან მიღებული ცნობებით, ნავალმორალ დე ლა მატაში, მადრიდის სამხრეთ - დასავლეთით 160 კილომეტრის მანძილზე (კასერესის პროვინციაში) მთავრობის ჯარებს გააფთრებული ბრძოლა ჰქონდათ მეამბოხეებთან. მეამბოხეებს დაახევინეს გვადალუპისაკენ.

ალიაში (კასერესის პროვინცია) მთავრობის ჯარებმა დაიკავეს მთის გასავალი სან - ვისენტში. ხელთ იგდეს მრავალი საომარი მასალა და სურსათი.

მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ალკოლეა, კორდოვიდან 6,5 კილომეტრის მანძილზე, შემდეგ განაგრძეს შეტევა და ხელთ იგდეს სიერრო მურიარის ბორცვები, კორდოვის ჩრდილოეთით, მუშათა კოლონამ, რომელიც მონაწილეობას იღებდა გრენადის იერიშში, ხელთ იგდო თოფის წამლის ქარხანა.

მთავრობის ჯარებს ახლა ალყა აქვთ შემორტყმული უესკისათვის. მთავრობის არტილერიამ უესკაში სროლა აუტეხა ყაზარმებს. რესპუბლიკური ჯარების მოწინავე ნაწილები ქალაქს 4 კილომეტრით არიან დაშორებულნი.

ესპანეთის სამხედრო სამინისტროს ცნობით, გვადარამის ყველა ფრონტზე მთავრობის ჯარებმა უკუაგდეს მეამბოხეთა იერიშები.

ნავალპერალის რაიონი (ავილის პროვინცია) მთლად გაწმენდილია მეამბოხეთაგან. (ადს).

◇ ◇ ◇

გერმანიის ფლოტი ესპანეთის წყლებში

ბერლინი, 21 აგვისტო. გერმანიის ესპანეთში მყოფი სახაზო ესკადრის სარდალმა ესპანეთის მთავრობის ფლოტის უფროსს მიმართა დეპეშით, რომელშიაც გერმანიის გემის „კამერუნის" დაკავებისა და გაჩხრეკას გამო სწერს:

„მე არ შემიძლია მოვითმინო ძალადობის ასეთი აქტები. მე წინადადება მივეცი ჩემს საზღვაო ძალებს ძალით უპასუხონ თქვენ გემთა ძალადობის ყოველ უკანონო მიერო აქტს".

გუშინ კილიდან და ვილჰელმსჰაფენიდან გავიდა ესპანეთში ძველი ესკადრის შესაცვლელად გერმანიის გემების ახალი ესკადრა კონტრ - ადმირალი ბემეს მეთაურობით; ამ ესკადრაში შედიან: ჯავშნოსანი „ადმირალ შეერ", კრეისერები „ნიურენბერგი", და „ლეიპციგი" და ნაღმოსანთა მესამე და მეოთხე ფლოტილია. ამით ესპანეთის წყლებში გავიდა გერმანიის თითქმის მთელი ფლოტი, რომელიც 25 აგვისტოს მთლად იქნება ესპანეთის ნაპირებთან და იქ მოხდება ორივე ესკადრის შეხვედრა. (ადს)

უცხოეთის ქრონიკა

17 აგვისტოს მელილის მახლობლად მეამბოხეთა თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ინგლისის სამხედრო გემს. ინგლისის მთავრობამ სასტიკი პროტესტი განაცხადა. მეამბოხეებმა ბოდიში მოიხადეს.

ფაბიანთა საზოგადოების ახალგაზრდათა აღმასრულებელმა კომიტეტმა პროტესტი განუცხადა ბოლდუინს ინგლისის რეაქციული ელემენტების მიერ ესპანეთის ფაშისტ - მეამბოხეთათვის დახმარების გაწევის გამო.

საბერძნეთის საზოგადოებათა უშიშროების მინისტრმა განკარგულება გასცა ყველა პოლიტიკური კლუბის დახურვის შესახებ. პოლიციის ხელისუფალნი განაგრძობენ კომუნისტურ გამოცემათა დაწვას.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ გუანსის (ჩინეთი) პროვინციაში შეიქმნა ახალი მთავრობა „ჩინეთის ნაციის მხსნელი სახალხო სამხედრო მთავრობის" სახელწოდებით.

ნიუ-იორკის ოლქის კომპარტიის ორგანიზაციამ გადაწყვიტა შეაგროვოს 100.000 დოლარი ესპანეთის მუშათა დახმარების ფონდის შესაქმნელად.

ფრანგმა მფრინავმა ჟორჟ დეტრემ, „პოტეზის" ფირმის თვითმფრინავზე მოახდინა სიმაღლეზე გაფრენა და მიაღწია 14.836 მეტრს.

იაფაში (პალესტინა) გამოცხადებულია სამხედრო წესები, მოსახლეობას შეუძლია გარეთ გამოსვლა მხოლოდ დღისით.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისათვის

10 აგვისტოს სახელმწიფო ფილარმონიაში შესდგა ახალგაზრდობის მე-22 საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საკ. ალკკ ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრება. სურათზე: პრეზიდიუმში (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. ფრანცისკო ესპანეთის კომკავშირულ სოციალისტური კავშირიდან, რაიმონდ გუიო— ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის გენერალური მდივანი, ვაიშლია — საკ. ალკკ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანი, მარტინოვი—საოლქო კომიტეტის მდივანი, და უტკინი—საქალაქო კომიტეტის მდივანი.

მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ახალი პუნქტები

მადრიდი, 21 აგვისტო. ესპანეთის ფავასის სატელეგრაფო სააგენტო იუწყება, რომ მთავრობის ჯარებმა, რომლებიც ესტრემადურის ფრონტზე უტევდნენ და მეამბოხეთა კოლონას მისდევდნენ, დაიკავეს სოფელი ალია, მადრიდის სამხრეთ-დასავლეთით, გვადალუპის მონასტრის ახლოს.

სამხრეთის ფრონტზე კორდოვის რაიონში მომქმედ მთავრობის ჯარებმა დაიკავეს სხვადასხვა პუნქტი, რომლებიც ქალაქზე ბატონობენ. (ადს).

◇

დეკრეტი ესპანეთში მოხალისეთა და რეგულარული არმიის მოწყობის შესახებ

მადრიდი, 21 აგვისტო. გამოქვეყნდა დეკრეტი მოხალისეთა და რეგულარული არმიის შედგენის შესახებ. დეკრეტში განსაზღვრულია არმიაში ჩარიცხვის სისტემა. სამსახურის მინიმალური ვადა უდრის 6 თვეს, მაგრამ ეს ვადა შეუძლია მთავრობას განაგრძელოს მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ფაშისტური ამბოხება გაგრძელდება. ახალი არმიის ჯარისკაცები დღეში მიიღებენ 9 პეზეტს და შეიძლება მათი მაღალ კატეგორიებში გადაყვანა.

მეორე დეკრეტში ლაპარაკია ახალ არმიაში სათადარიგო სამსახურის ოფიცრების, აგრეთვე ყოფილი უნტეროფიცრების მიღების შესახებ. მიღება ხდება იმ პირობით, თუ თვითეულ მათგანს რეკომენდაციას მისცემს სახალხო ფრონტის რომელიმე პარტიის, ან პროფესიული ორგანიზაციის ერთერთი წევრი. (ადს)

◇

მდგომარეობა კუნძულ მაიორკაზე

ლონდონი, 21 აგვისტო. ესპანეთის მთავრობის ოფიციალური ცნობით, მთავრობის ჯარებმა მეორე დესანტი გადმოსხეს კუნძულ მაიორკაზე და იქ ცოტაოდენი მანძილი განვლეს.

„ტაიმსის" ცნობით, ესპანეთის მთავრობის ჯარებს, რომლებიც კუნძულ მაიორკაზე გადმოსხეს, ახლა უჭირავთ ფრონტი 96 კილომეტრის მანძილზე.

მთავრობის საესკადრო ნაღმოსანმა „ალმირანტე მირანდომ" ყუმბარა დაუშინა და მოსპო მეამბოხეთა კოლონა 30 საბარგო ავტომობილის შემადგენლობით. მოელიან მთავრობის არტილერიის მიერ ქალაქ პალმისათვის ყუმბარის დაშენას, რის გამო უცხოეთის გემები, რესპუბლიკური ძალების სარდლის გაფრთხილების შემდეგ, ნავთსადგურიდან გავიდნენ.

„ტაიმსი" სწერს, რომ მეამბოხეებმა დაიკავეს ლოხა (გრენადის პროვინციაში). (ადს).

◇

იტალიის ექსპანსია ესპანეთის მაროკოში

ლონდონი, 21 აგვისტო. „ნიუს ქრონიკლის" ტანჟერელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიელი ფაშისტი როსი, ტანჟერის მმართველი საერთაშორისო — კომიტეტის თავმჯდომარე, საკომენდანტო მოვალეობას ასრულებს ესპანეთის მაროკოში, როგორც გენერალი ფრანკოს წარმომადგენელი. როსიმ, როგორც ტანჟერის მმართველი საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ, ნავთსადგურის უფროსად დანიშნა იტალიელი ფაშისტი, ნაცვლად ყოფილი უფროსისა—ესპანელისა, რომელიც ესპანეთის მთავრობის მომხრე იყო. ესპანეთის საზღვრების დაცვაში, ესპანეთის მთავრობის ყველა მომხრენი გადაყენებული არიან.

კარგად გაცნობილი თვალყურის მდევნელი ამბობენ, სწერს კორესპონდენტი, რომ იტალიას განზრახული აქვს თავისი ზონა შექმნას ესპანეთის სამფლობელოში. იტალიის თვითმფრინავები დაფრინავენ ტეტუანზე. ტეტუანში იმყოფებიან იტალიელი ოფიცრები.

დიპლომატიურ წრეებში, სწერს კორესპონდენტი, შესამჩნევად შიშობენ, რომ იტალიის სამხედრო გემებმა ახლა, როდესაც ნავთსადგურის პოლიციის კონტროლი უჭირავს იტალიას, გადმოსხან არსენალი, რომლის ნაწილი ახლა ინახება იტალიის მისიაში, ხოლო ნაწილი გადაეცა გენერალ ფრანკოს ჯარებს. აგრეთვე აღნიშნავენ, რომ 8 აგვისტოს ღამით იტალიის იალქნიანი გემი მოვიდა ალხესირასის უბეში და მოიტანა ტყვიამფრქვევები და ხელის ყუმბარები, რაც 8 საბარგო ავტომობილით ესპანეთის მეამბოხეებს გაუგზავნეს სეუტაში. (ადს).

ამხ. სტალინს

სოციალიზმის ურყევი ქვეყნის საყვარელ ბელადს

მოსკოვის პროლეტარულ მსროლელთა დივიზიის წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა წერილი

პირველი ჩვენი სიტყვა მიმართულია შენსკენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ! შენ ხარ ჩვენი რევოლუციის გული, შენ ხარ დიდი მეგობარი, მასწავლებელი და ბელადი. წითელი არმია ამაყად ატარებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე სახელოვან გამარჯვებათა საბრძოლო ტრადიციებს, გამარჯვებათა, რომელთა ორგანიზატორი იყავი შენ—პროლეტარული რევოლუციის გენიალური სტრატეგო. წითელი არმიის გმირულმა ლეგიონებმა შენი რკინის ხელმძღვანელობით სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს კონტრრევოლუციის ძალებს ცარიცინთან, ვოლგაზე, დაიცვეს პროლეტარული რევოლუციის აკვანი—ლენინის ქალაქი, მოსპეს დენიკინი, კოლჩაკი და ზღვაში გადაისროლეს ბარონ ვრანგელი. შენთან მხარდამხარ ყველაზე პასუხსაგებ საბრძოლო უბნებზე იბრძოდა ჩვენი საყვარელი სახკომი, საბჭოთა კავშირის რკინის მარშალი კლიმ ვოროშილოვი.

წითელ არმიას სხვა არავინ იცნობს ისე კარგად და ზედმიწევნით, როგორც შენ, ყველა ჩვენ გამარჯვებათა ორგანიზატორო, ჩვენო საუკეთესო, ნაცადო მხედართმთავარო ამხანაგო სტალინ! შენს ყოველდღიურ მზრუნველობას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ჩვენს ხელთ არის ისეთი იარაღი, რომელსაც ვერავითარი მტერი წინ ვერ დაუდგება. შენ შეგვაიარაღე პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით. შენმა მზრუნველობამ წითელი არმიის კადრებზე კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი აღმზრდელ-მეთაურთა ავტორიტეტი, უზრუნველჰყო უდიდესი მიღწევანი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საქმეში, ტექნიკისა და თანამედროვე ბრძოლის რთული ფორმების დაუფლებაში.

მთელი წითელ არმია, როგორც ერთი კაცი, რკინის დისციპლინით შეკავშირებული, სტალინური სკოლით გამობრძმედილი, ყოველ წუთს მზად არის შემუსროს მტერი. ჩვენ მოსკოვის პროლეტარული დივიზიის წითელარმიელნი, მეთაურნი და პოლიტმუშაკნი, მთელ ჩვენს დიად ხალხთან ერთად მზადა ვართ შენთვის, ლენინ-სტალინის საქმის გამარჯვებისათვის გავიღოთ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სისხლი წვეთწვეთად.

ღრმა აღშფოთებისა და სიძულვილის გრძნობა გამოიწვია ჩვენს გულში ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდის იმ სამგზის წყეულ მეთაურთა და ორგანიზატორთა ახალმა დანაშაულობამ, რომელთა ხელი მოსვრილია მგზნებარე მებრძოლისა და რევოლუციის ტრიბუნის, ხალხთა საყვარელი შვილის—სერგეი მირონის-ძე კიროვის სისხლში. თავისი წინამძღოლის, გამხეცებული ბანდიტის ტროცკის მითითებით, ისინი ამზადებდნენ ჩვენი ბელადების, სოციალიზმის საუკეთესო ადამიანებისა და ყველაზე უფრო ძვირფასის, ვინც კი ჩვენს დიად ქვეყანას ჰყავს, კაცობრიობის უდიდესი ადამიანის—ჩვენი სტალინის მოკვლას.

ფაშისტური ოხრანკების დაქირავებულთ იმედი ჰქონდათ, რომ ისინი გასტეხდნენ წითელი არმიის საბრძოლო რიგებს, ტროცკისტულ მოღალატე — ტერორისტთა ხელით, ბანდიტ ტროცკის პირდაპირი მითითებით ისინი ამზადებდნენ ჩვენი სახალხო კომისრის, შენი უახლოესი თანამებრძოლის, წითელი არმიის ბელადისა და ხელმძღვანელის კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვის საზიზღარ მკვლელობას. ტროცკისტულ გარეწრებს ანგარიში შეეშალათ.

საბჭოთა სასამართლომ გამოაშკარავა ტროცკისტთა და ზინოვიეველთა—ფაშისტურ მკვლელთა ამ ბინძური ბანდისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმის მთელი სიმდაბლე, მუხანათობა, იდეური და მორალური გახრწნა. თავს ვერ დაიძვრენს სამარცხვინო ბოძზე გაკრული ტროცკი, მკვლელობის, ღალატისა და შპიონაჟის ორგანიზატორი.

არავითარი დანდობა სამშობლოს მოღალატეებს. ფაშისტური ოხრანკის ცოფიანი ძაღლები უნდა აღიგავონ პირისაგან მიწისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლო ყურად იღებს ხალხის ხმას და ჯეროვანს მიუზღავს ამ ხროვას მისი ბინძური საქმეებისათვის.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! ხალხის მტრებმა შენსა და შენი უახლოესი თანამებრძოლების წინააღმდეგ მოიმართეს შხამიანი ნესტარი, მაგრამ შენს გარშემო, ლენინურ-სტალინური შტაბის გარშემო, მათ შეხვდა მრავალმილიონიანი კედელი დიადი საბჭოთა ხალხისა, რომელიც მზად არის გასწიროს თავისი სიცოცხლე თავისი ბელადებისათვის.

წითელი არმია, თვითეული მისი მეომარი, მეთაური და პოლიტმუშაკი აღსავსეა მხურვალე სიყვარულით და უსაზღვრო ერთგულებით სამშობლოსა და შენდამი, ჩვენო ბელადო და ჩვენი დიადი სამშობლოს შეუმუსრავი თავდაცვის ორგანიზატორო.

ჩვენი ძვირფასი ბელადების სიცოცხლე—ეს სახელოვანი საბრძოლო დროშებია, რომლებსაც ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ. მიიღე, ჩვენო საყვარელო ამხანაგო სტალინ, მხურვალე წითელარმიული სალამი, ჩვენ გაათკეცებული ენერგიით გავზრდით წითელი არმიის ძლიერებას. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გასტეხოს სტალინურ დროშებს ქვეშ დარაზმულ მებრძოლთა რიგები!

(მიღებულია მოსკოვის პროლეტარულ მსროლელთა დივიზიის მებრძოლთა, მეთაურთა და უფროსი შემადგენლობის კრებაზე).

◇ ◇ ◇

დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა სწორად აღნიშვნის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს**: დამტკიცდეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო აგეგმვისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს ტრანსკრიპციის ბიუროს მიერ დაწესებული სწორად აღნიშვნა შემდეგი დასახლებული პუნქტებისა:

რიგობრივი ნომრები	არსებული ტრანსკრიპცია		ტრანსკრიპცია რომელიც წესდება
—	—	აფხაზეთის ასსრ	—
1	Сухум	—	Сухуми
2	Тквapчелы	—	Ткварчели
3	Очемчиры	—	Очемчири
—	—	აჭარის ასსრ	—
4	Кобулеты	—	Кобулети
5	Батум	—	Батуми
—	—	საქართველოს სსრ	—
6	Местия	—	Местиа
7	Чиатуры	—	Чиатура
8	Кутаис	—	Кутаиси
9	Самтреди	—	Самтредиа
10	Боржом	—	Боржоми
11	Абастуман	—	Абастумани
12	Ахалцих	—	Ахалцихе
13	Душет	—	Душети
14	Мцхет	—	Мцхета
15	Тифлис	—	Тбилиси (Тифлис)
16	Шаумян	—	Шаумяни
17	Люксембург-Грузинский	—	Люксембурги
—	—	სომხეთის სსრ	—
18	Эривань	—	Ереван (Эривань)
—	—	თურქმენთა რ.	—
19	Кара-Бугаз	—	Кара--Богаз-Гол
20	Нефтедаг	—	НебитДаг (Нефтедаг).

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1936 წ. 17 აგვისტო.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის პროცესი

20 აგვისტოს საღამოს სხდომა

ბრალდებული ი. ნ. სმირნოვის დაკითხვა

უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 20 აგვისტოს საღამოს სხდომის დიდი ნაწილი ბრალდებული ი. ნ. სმირნოვის დაკითხვას მოუნდა. სმირნოვი არის ტროცკისტული ორგანიზაციის ერთერთი ლიდერი ამ ორგანიზაციის შექმნის მომენტიდან, ტროცკის ძველი მეგობარი, ტროცკისტული კონტრრევოლუციური არალეგალური ორგანიზაციის ფაქტიური ორგანიზატორი და ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირში. მას პირადი კავშირი ჰქონდა ტროცკისთან და ტროცკისტულ ორგანიზაციებთან საზღვარგარეთ.

მ ტროცკის მოადგილე საბჭოთა კავშირში — როგორც მას ბრალდებულები უწოდებენ, — ტროცკისტული ცენტრის ხელმძღვანელი სმირნოვი ჯიუტად განაგრძობს სიცრუესა და [illegible] ტაქტიკას. იგი კარგა ხანს ცდილობს უარჰყოს და დაჩქმალოს თავისი უშუალო მონაწილეობა ტერორისტულ საქმიანობაში. იგი იძულებული ხდება ძალაუნებურად აღიაროს თავისი დანაშაული მხოლოდ მას შემდეგ, როცა მას წაუყენეს უდაოდ მამხილებელი საბუთები, როცა იგი გამოამჟღავნეს ფაქტებმა და როცა ბრალდებამ მაგრად ჩაიჭირა.

1931 წლის მაისში სმირნოვი გაემგზავრა საზღვარგარეთ სამსახურეობრივ მივლინებაში. ბერლინში იგი ორჯერ შეხვდა ტროცკის შვილს და აგენტს — სედოვს, მიიღო მისგან ორი მისამართი მიმოწერისათვის და შეუთანხმდა პაროლის შესახებ აგენტების გამოსაგზავნად. სედოვი ეუბნებოდა სმირნოვს, რომ აუცილებელია შეიცვალოს პარტიასთან ბრძოლის ძველი ფორმები და დროა გადავიდნენ ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებზე. ამ თვალსაზრისს სმირნოვი გვიხატავს როგორც სედოვის პირადს მსჯელობას, რომელსაც იგი, სმირნოვი, თითქოს არ დაეთანხმა.

მაგრამ ამ მტკიცებას აბათილებს ჩვენება ბრალდებული მრაჩკოვსკისა რომელსაც სმირნოვი ეუბნებოდა, რომ ბერლინში იგი სედოვის საშუალებით დაუკავშირდა ტროცკის, რომლისგანაც გამომდინარეობდნენ მითითებანი ტერორის შესახებ.

უპასუხებს რა პროკურორის შეკითხვებს, მრაჩკოვსკი შემდეგ განმარტავს, რომ სედოვთან სმირნოვის საუბრის შინაარსი მან გაიგო არა როგორც უბრალო ცნობა, არამედ როგორც დირექტივა ტროცკისა, რომელიც წინადადებას იძლეოდა გადასულიყავით ბრძოლის სხვა მეთოდზე — უფრო მკვეთრ მეთოდზე, ე. ი. ტერორზე. ის რომ ტროცკის დირექტივა იყო და არა სედოვის „პირადი მსჯელობა“, დასტურდება მრაჩკოვსკისა და სმირნოვის ჩვენებებით იმის შესახებ, რომ მათთვის სედოვი ავტორიტეტს არ წარმოადგენდა.

ბრალდებული სმირნოვი ჯერ [illegible], რომ 1931 და 1932 წლებში არც ტროცკი იყო მისთვის ავტორიტეტი. მაგრამ იგი [illegible] ცენტრის [illegible] და აღიარებს, რომ 1932 წ. იური გავენის საშუალებით ტროცკისაგან ღებულობდა დირექტივებს: საჭიროა გადავიდეთ ტერორზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. ეს დირექტივები მან მიიღო შესასრულებლად და გადასცა ცენტრს. იგი ცდილობს განსაზღვროს თავისი როლი იმით, რომ მარტო გადასცა ცენტრს ტროცკის დირექტივები, თან ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა ცენტრის მუშაობისათვის, ბოლოს, ცდილობს დაამტკიცოს, რომ ცენტრი სრულიადაც არ არსებობდა. პროკურორი ბრალდებულ მრაჩკოვსკის, ზინოვიევს, ევდოკიმოვს და ბაკაევს ეკითხება — არსებობდა თუ არა ცენტრი და ოთხივე დადებითად უპასუხებს.

ვიშინსკი: სმირნოვ, როგორ აძლევთ თქვენს თავს ნებას ამტკიცოთ, რომ ცენტრი არ ყოფილა?

სმირნოვი ცდილობს კვლავ მიკიბულ-მოკიბულად ილაპარაკოს, მიუთითებს იმაზე, რომ ცენტრის სხდომები არ ჰქონია, მაგრამ ზინოვიევის, ტერ-ვაგანიანისა და მრაჩკოვსკის ჩვენებანი კვლავ ამხილებენ მას სიცრუეში.

სმირნოვის შემდგომი დაკითხვა ადასტურებს, რომ ბრალდებულმა მიიღო ტერორის შესახებ ტროცკის დამატებითი დირექტივები, რომლებიც 1932 წელს გავენის საშუალებით იყო მიღებული, და გადასცა თავისიანებს.

ეს დირექტივა შეიცავდა პირდაპირ მითითებას, რომ აუცილებელია გადასვლა პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ტერორისტული ბრძოლის გზაზე.

ბრალდებული დაჟინებით ცდილობს დაიძვრინოს თავი, უარჰყოს ტროცკისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელის როლი. სხვა ბრალდებულთა დაკითხვიდან ირკვევა, რომ ზინოვიეველებთან ბლოკის შესახებ მოლაპარაკებას ტერ-ვაგანიანი აწარმოებდა სმირნოვის პირდაპირი დავალებით, რომ მრაჩკოვსკი აწარმოებდა ტერორისტული ჯგუფების მომზადებას სმირნოვის პირდაპირი დავალებით. ირკვევა, რომ თავისი დაპატიმრების მომენტამდე სმირნოვი ახორციელებდა პირად კავშირს ტროცკისთან. ამ და სხვა უდავო ფაქტების ზეგავლენით სმირნოვი, ბოლოსდაბოლოს, აღიარებს, რომ სწორედ იგი იყო ტროცკისტული ორგანიზაციის მეთაური საბჭოთა კავშირში.

ბრალდებულთა ჩვენებიდან ირკვევა, რომ ბლოკის შექმნა იყო შედეგი სმირნოვის უშუალო მოლაპარაკებისა ზინოვიევთან, კამენევისა — ტერ-ვაგანიანთან და მრაჩკოვსკისა — ევდოკიმოვთან. ამასთან მოლაპარაკება ბლოკის ორგანიზაციის შესახებ სწარმოებდა ტერორის შესახებ იმ პირველი დირექტივის საფუძველზე, რომელიც 1931 წელს სმირნოვმა ტროცკისაგან სედოვის საშუალებით მიიღო და ჩამოიტანა.

პროკურორი არკვევს სმირნოვის კავშირს ტროცკისთან. სმირნოვი პირველად უარჰყოფს თავის კავშირს ტროცკისთან და რამდენჯერმე იმეორებს, რომ მას ჰქონდა მხოლოდ ორი მისამართი.

უარჰყოფს რა პირად კავშირს ტროცკისთან, სმირნოვი, ბოლოს, აღიარებს, რომ მას ტროცკის შვილთან ჰქონდა საფოსტო კავშირი, რომ იგი თვითონ სწერდა წერილებს ტროცკის და მიიღო მისგან პასუხი, რომელიც გავენმა ჩამოიტანა.

ვიშინსკი: ეს კავშირია თუ არა?

სმირნოვი: კავშირია.

ვიშინსკი: მაშასადამე, იყო კავშირი?

სმირნოვი: იყო.

ირკვევა აგრეთვე სხვა უცილობელი ფაქტები. ტერ-ვაგანიანი, მრაჩკოვსკი, ზინოვიევი და ევდოკიმოვი აცხადებენ იმ საუბრების შესახებ, რომლებიც სწარმოებდა სმირნოვთან 1931 წელს, და იმ დავალებათა შესახებ, რომლებსაც ის იძლეოდა ამ პერიოდში ტერორისტების მომზადების თაობაზე. სმირნოვი ამასაც უარჰყოფს.

ვიშინსკი: (მიმართავს მრაჩკოვსკის) მრაჩკოვსკი, გაძლევდათ თუ არა თქვენ სმირნოვი დირექტივებს?

მრაჩკოვსკი: დიახ, დირექტივები მომეცა 1931 წელს, საზღვარგარეთიდან მისი ჩამოსვლის შემდეგ.

ვიშინსკი: რა გითხრათ მან?

მრაჩკოვსკი: რომ საჭიროა ისეთი პირების შერჩევის დაწყება, რომლებსაც კარგად ვიცნობთ, რომ მათს წინაშე ისმება სერიოზული ამოცანა, რომ უნდა გამოირჩეს ნებისყოფის ხალხი. სმირნოვი ამას თავის ბინაზე გვეუბნებოდა.

ვიშინსკი: ბრალდებულო ზინოვიევ, თქვენ ამბობდით, რომ სმირნოვი თქვენ არაერთხელ გესაუბრათ ტერორზე, ტერორისტული აქტების გაძლიერების საჭიროებაზე.

ზინოვიევი: მართალია.

ვიშინსკი: მაშასადამე, რასაც მრაჩკოვსკი ტერორისტული ჯგუფის შესახებ ამბობს, სინამდვილეს შეესაბამება?

ზინოვიევი: დიახ.

ვიშინსკი: ბრალდებულო სმირნოვ, ხომ არ გგონიათ თქვენ, რომ ტერ-ვაგანიანი, მრაჩკოვსკი, ევდოკიმოვი სიმართლეს არ ლაპარაკობენ?

სმირნოვი: (სდუმს).

ვიშინსკი: რაღას-და აღიარებთ თქვენ?

სმირნოვი. მე აღვიარებ, რომ მონაწილეობას ვიღებდი ტროცკისტულ არალეგალურ ორგანიზაციაში; შევედი ბლოკში, შევედი ამ ბლოკის ცენტრში, ვინახულე სედოვი ბერლინში 1931 წელს, მოვისმინე მისი აზრი ტერორზე, რაც შემდეგ მოსკოვს გადავეცი. აღვიარებ, რომ გავენისგან მივიღე ტროცკის დირექტივა ტერორზე, რაც გადავეცი ვაგანიანის საშუალებით ზინოვიეველებს, თუმცა მე ამ დირექტივას არ ვეთანხმებოდი.

ვიშინსკი: არ ეთანხმებოდით და ბლოკის წევრად რჩებოდით, ბლოკში მუშაობდით?

სმირნოვი: ფორმალურად ბლოკიდან არ გამოვსულვარ, ფაქტიურად არ ვმუშაობდი.

ვიშინსკი: მაშასადამე, როდესაც დირექტივა გადაეცით, მუშაობას არ ეწეოდით?

სმირნოვი: (სდუმს).

ვიშინსკი: როგორ გგონიათ, როდესაც ორგანიზატორი, დირექტივას გადასცემს—განა ეს მუშაობა არ არის?

სმირნოვი: რასაკვირველია, არის.

ვიშინსკი: თქვენ ბლოკის მონაწილე იყავით?

სმირნოვი: დიახ.

ვიშინსკი: და აღიარებთ, რომ ბლოკი ტერორის პოზიციაზე იდგა?

სმირნოვი: დიახ.

ვიშინსკი: აღიარებთ აგრეთვე, რომ იგი ამ პოზიციებზე იდგა ტროცკისგან დირექტივის მიღებასთან დაკავშირებით?

სმირნოვი: დიახ.

ვიშინსკი: და ეს დირექტივა თქვენ მიიღეთ?

სმირნოვი: დიახ.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ დააყენეთ ბლოკი ტერორის პოზიციაზე?

სმირნოვი: მე გადავეცი დირექტივა ტერორის შესახებ.

ვიშინსკი: თუ თქვენ ადასტურებთ, რომ ტროცკის დირექტივის მიღების შემდეგ ბლოკი ტერორის პოზიციაზე იდგა, უნდა ითქვას, რომ ბლოკი ტერორის პოზიციაზე დადგა დირექტივის შემდეგ, რომელიც თქვენ მიიღეთ ტროცკისგან და გადაეცით ბლოკის წევრებს.

სმირნოვი: მე მივიღე ეს დირექტივა, ვაცნობე იგი ტროცკისტებსა და ზინოვიეველებს, მათ შექმნეს ცენტრი. მე არ ვიყავი თანახმა. ფორმალურად ბლოკიდან არ გამოვსულვარ, მაგრამ ფაქტიურად ბლოკის წევრი არ ვყოფილვარ.

ვიშინსკი: ტერ-ვაგანიან, სმირნოვი ბლოკიდან გავიდა?

ტერ-ვაგანიანი: არა.

ვიშინსკი: მრაჩკოვსკი, სმირნოვი ბლოკიდან გავიდა?

მრაჩკოვსკი: არა.

ვიშინსკი: დრეიცერ, თქვენ იცით, რომ სმირნოვი ბლოკიდან გავიდა?

დრეიცერი: თუ ტერორისტული ჯგუფების მოწყობის დავალება ბლოკიდან გასვლაა, მაშინ დიახ.

ვიშინსკი: ევდოკიმოვ, თქვენ გაგიგონიათ რამე სმირნოვის ბლოკიდან გასვლაზე?

ევდოკიმოვი: არა, სწორედ, პირიქით, ის რჩებოდა ცენტრის წევრად, აქტიურად მონაწილეობდა მასში.

ვიშინსკი: იზიარებდა ტერორისტულ შეხედულებებს?

ევდოკიმოვი: დიახ, იზიარებდა.

ვიშინსკი: ბრალდებულო კამენევ, რა იცით სმირნოვის ბლოკიდან გასვლის შესახებ?

კამენევი: ვადასტურებ. რომ სმირნოვი ყოველთვის ბლოკში იყო.

ვიშინსკი: ბრალდებულო სმირნოვ, წრე შეიკრა.

ბრალდებული ოლბერგის დაკითხვა

სასამართლო გადადის ბრალდებული ოლბერგის დაკითხვაზე.

ვ. პ. ოლბერგი—ტროცკისტული ორგანიზაციის აქტიური მონაწილეა. ტროცკის ემისარი იყო საზღვარგარეთ.

ლ. ტროცკის დავალებით 1933 წელს გამოგზავნილი იყო საბჭოთა კავშირში ყალბი პასპორტით ამხ. სტალინის მოკვლის მოსაწყობად.

სსრკ-ში იგი დაუკავშირდა ტროცკისტულ არალეგალურ ორგანიზაციას და პრაქტიკულად შეუდგა ამხ. სტალინისა და ჟდანოვის წინააღმდეგ თავდასხმის მომზადებას.

დაკითხვის დროს ოლბერგი უჩვენებს, რომ მისი კავშირი ტროცკისთან და ტროცკის შვილ სედოვთან დაიწყო 1930 წლიდან.

ოლბერგი ჰყვება იმ ამბებს, რომლებიც წინ უსწრებდა მის პირველ გამომგზავრებას საბჭოთა კავშირში.

ოლბერგი აცხადებს: „ჩემი გამომგზავრების შესახებ სედოვმა პირველად დამიწყო ლაპარაკი ტროცკის იმ მიმართვის შემდეგ, რომელიც დაკავშირებული იყო ტროცკისთვის სსრკ-ის მოქალაქეობის ჩამორთმევასთან. ამ მიმართვაში ტროცკი ავითარებდა აზრს, რომ საჭიროა სტალინის მოკვლა. ეს აზრი შემდეგი სიტყვებით იყო გამოხატული: „საჭიროა სტალინის თავიდან მოშორება“.

იმ დროსვე მისცა სედოვმა ოლბერგს წინადადება გამგზავრებულიყო სსრ კავშირში.

„გამიძნელდა პასპორტის საქმე,— ამბობს ოლბერგი, — მე არა მქონდა განსაზღვრული ქვეშევრდომობა და უკვე მარტო ამის გამო არ შემეძლო რაიმე ვიზის მიღება, მაგრამ მალე მოვაგვარე ეს საქმე, მივიღე პასპორტი ფრიდმანის სახელზე და წამოვედი სსრკ-ში.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში გამომგზავრებამდე ვაპირებდი სედოვთან ერთად კოპენჰაგენში წასვლას ტროცკისთან. ჩვენი წასვლა არ მოხერხდა, კოპენჰაგენში წავიდა სედოვის ცოლი სუზანა, და როცა დაბრუნდა ჩამოიტანა ტროცკის წერილი სედოვის სახელზე. ამ წერილში ტროცკი თანახმა იყო ჩემი სსრკ-ში წასვლისა და გამოსთქვამდა იმედს, რომ მე შევძლებ განვახორციელო დაკისრებული მისია. ეს წერილი მიჩვენა სედოვმა“.

ოლბერგი შემდეგ ამბობს, რომ პასპორტის მიღებაში მას დახმარება გაუწია ფრიდმანმა, ბერლინელმა ტროცკისტმა, რომელიც აგრეთვე გერმანიის პოლიციის აგენტი იყო.

ვიშინსკი: გერმანელი ტროცკისტების კავშირი გერმანიის პოლიციასთან სისტემა იყო?

ოლბერგი: დიახ, სისტემა იყო და ეს ტროცკის თანხმობით მოხდა.

ვიშინსკი: საიდან იცით, რომ ეს ტროცკიმ იცოდა და მისი თანხმობით იყო?

ოლბერგი: კავშირის ერთი ამ ხაზთაგანი პირადად ჩემი იყო. ჩემი კავშირი ტროცკის სანქციით იყო დაწყობილი.

ვიშინსკი: თქვენი პირადი კავშირი ვისთან?

ოლბერგი: ფაშისტურ საიდუმლო პოლიციასთან.

ვიშინსკი: მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ თქვენ თვითონვე აღიარებთ კავშირს გესტაპოსთან?

ოლბერგი: ამას არ უარვყოფ. 1933 წელს დაიწყო ორგანიზებული სისტემა გერმანელ ტროცკისტთა კავშირისა გერმანიის ფაშისტურ პოლიციასთან.

შემდეგ ბრალდებული ოლბერგი ასახელებს იმ გარემოებებსა და ფაქტებს, რომლებიც უშუალოდ ეხება მის გამომგზავრებას სსრკ-ში ტერორისტული აქტის მოსახდენად ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირში ის სამჯერ ჩამოვიდა ამ მიზნით.

ოლბერგი სსრკ-ში პირველად წამოვიდა 1933 წლის მარტის დამლევს ყალბი პასპორტით. ოლბერგმა ტერორისტული აქტის მოწყობის საქმეში მარცხი განიცადა და იძულებული გახდა საზღვარგარეთ დაბრუნებულიყო. იგი წავიდა პრაღაში, საიდანაც დაუკავშირდა სედოვს, რომელმაც დაიიმედა, შეჰპირდა უკეთესი პასპორტის შოვნას.

ამ დროს ოლბერგმა თვითონ მოახერხა პასპორტის შოვნა პრაღაში. იქ ცხოვრობდა მისი უმცროსი ძმა პაულ ოლბერგი, რომელსაც კავშირი ჰქონდა გერმანიის საიდუმლო პოლიციის აგენტთან პრაღაში ტუკალევსკისთან. ამ უკანასკნელისგან მიიღო ოლბერგმა ახალი დოკუმენტი. პოლიციის აგენტის ტუკალევსკისგან ოლბერგმა პასპორტი მიიღო სედოვის დასტურით მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ტროცკის სანქცია მიიღო.

პასპორტი ოლბერგმა ტუკალევსკისა და ვინმე ბენდის საშუალებით მიიღო გონდურასის რესპუბლიკის ბერლინელი გენერალური კონსულის ლუკას პარადესისგან, რომელიც მაშინ პრაღაში ჩავიდა.

ოლბერგი: მან პასპორტი მომყიდა 13 ათას ჩეხოსლოვაკურ კრონად. ეს ფული სედოვისგან მივიღე.

ვიშინსკი: თქვენ გქონდათ რაიმე დამოკიდებულება გონდურასის რესპუბლიკასთან?

ოლბერგი: არა, არასოდეს.

ვიშინსკი: ნება მომეცით წარმოგიდგინოთ: ეს პასპორტია? (სასამართლოს კომენდანტი უჩვენებს პასპორტს).

ოლბერგი: დიახ, ეს არის. ეს მართლაც ნამდვილმა კონსულმა მომცა გონდურასის რესპუბლიკის სახელით.

შემდეგ ოლბერგი უჩვენებს, რომ ტუკალევსკიმ ურჩია შეხვედროდა ბერლინში ტროცკისტ ქალს სლომოვიცს. ოლბერგი დაწვრილებით ლაპარაკობს სლომოვიცთან შეხვედრის ამბავს:

ოლბერგი: „ბერლინში ვიყავი სლომოვიცთან, რომელმაც შემდეგი მაცნობა: ჩემი სხვაგან ყოფნის დროს დარჩა ტროცკისტთა ძლიერი რიცხოვანი კადრები და [illegible] დგას დილემა: ტროცკისტებმა ან საკუთარი ლიკვიდაცია უნდა მოახდინონ, ანდა შეუთანხმდნენ გერმანელ ფაშისტებს. ამ შეთანხმების ბაზაა საკითხი ტერორის მომზადებისა და ჩატარებისა საკ. კ.პ. (ბ)-ისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. ტროცკიმ სანქცია მისცა ბერლინელი ტროცკისტების შეთანხმებას გესტაპოსთან, და ტროცკისტები, მართლაც, თავისუფლად იყვნენ.

ბერლინელ ტროცკისტთა თვალსაზრისით, საბჭოთა წყობილების დამხობა, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ ორი გზით: ან ინტერვენციის გზით, ან ცალკეული ტერორისტული აქტების გზით. სლომოვიცის სიტყვით, კიროვის მკვლელობამ დაგვანახვა, რომ საბჭოთა კავშირში შესაძლებელია ჩატარდეს ტერორისტული აქტები პარტიისა და მთავრობის ბელადების წინააღმდეგ. სლომოვიცის ბინაზე მე შევხვდი გესტაპოს თანამშრომელს, რომელიც მე სლომოვიცმა გამაცნო და რომელმაც მითხრა, რომ, თუ საჭირო იქნება დახმარება, ისინი ხალისით დამეხმარებიან ტერორისტული აქტების მომზადებაში, უწინარეს ყოვლისა სტალინის წინააღმდეგ“.

1935 წლის მარტში ოლბერგი მეორედ გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში. არც ამ მგზავრობას მოჰყოლია რაიმე შედეგი, ვინაიდან, ტურისტული ვიზის გამო მოგზაურობა ძალიან ხანმოკლე იყო და რამდენიმე დღის შემდეგ ოლბერგი იძულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიყო გერმანიაში. იქ მან სამ თვეს დაჰყო, მიიღო მითითება სედოვისაგან ერთხელ კიდევ ცდილიყო და 1935 წლის ივლისს ოლბერგი კვლავ გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში.

ცოტა ხნით მინსკში დარჩენის შემდეგ ოლბერგი გაემგზავრა გორკიში, დაუკავშირდა ტროცკისტებს ელინსა და ფედოტოვს, ამ უკანასკნელისაგან მიიღო სამუშაო გორკის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც დაპატიმრების დღემდე იყო. სწორედ აქ გორკიში შეიმუშავდა ამხანაგ სტალინზე თავდასხმის გეგმა.

ამაზე ცოტა ხნით ადრე საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ოლბერგის ძმა, პაულ ოლბერგი. პროკურორის შეკითხვაზე — ტუკალევსკის რა დავალებით ჩამოვიდა მისი ძმა, ოლბერგი უპასუხებს, რომ მან არ იცის, რა ხასიათისა იყო ეს დავალებანი, მაგრამ პაულ ოლბერგი უნდა დახმარებოდა მას ტერორისტული სამუშაოს შესრულებაში.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენი ძმა ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში თავისი ნამდვილი გერმანული პასპორტით და, როგორც ინჟინერს, შეეძლო უფრო ადვილად მოეკიდა აქ ფეხი?

ოლბერგი: დიახ.

ვიშინსკი: ჰქონდა თუ არა თქვენს ძმას რაიმე დამოკიდებულება გესტაპოსთან?

ოლბერგი: იგი ტუკალევსკის აგენტი იყო.

ვიშინსკი: ფაშისტური პოლიციის აგენტი?

ოლბერგი: დიახ.

ვიშინსკი: [illegible] გქონდათ თქვენ და სედოვს ლაპარაკი იმის შესახებ, [illegible] შეწყნარება?

ოლბერგი: ეს იყო ჩემი მეორე გამომგზავრების დროს. იგი მეუბნებოდა —თუ მე სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოები დამაპატიმრებენ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვთქვა, რომ ეს ტერორისტული აქტი სრულდება ტროცკის დავალებით და ყოველ შემთხვევაში უნდა ვეცადო დავმალო ტროცკის როლი.

ვიშინსკი: მაშ მისი რჩევით ვისთვის უნდა დაგებრალებინათ ტერორისტული აქტის მოწყობა?

ოლბერგი: თეთრგვარდიელებისთვის, გესტაპოსთვის.

დაკითხვის ამ ნაწილის შემდეგ პროკურორი აკეთებს რეზიუმეს:

ვიშინსკი: მაშასადამე, შეიძლება ასე ითქვას: თქვენ, ვალენტინ ოლბერგი, იყავით რა დაკავშირებული ტროცკისთან, მისი შვილის სედოვის საშუალებით, ტროცკის უშუალო დავალებით სედოვის მიერ გამოგზავნილი იყავით სსრ კავშირში როგორც ტროცკის აგენტი ამხ. სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოსამზადებლად და მოსახდენად?

ოლბერგი: დიახ.

ვიშინსკი: ამ სამუშაოს წარმატებით შესასრულებლად თქვენი ძმის საშუალებით დაკავშირებული იყავით გერმანიის პოლიციასთან?

ოლბერგი: დიახ, ეგრეა.

ვიშინსკი: ახლა გვიამბეთ, როგორ ამზადებდით ტერორისტულ აქტს.

ოლბერგი მოუთხრობს, რომ ჯერ კიდევ გორკიში ჩასვლამდე მან სედოვისაგან იცოდა, რომ სსრ კავშირში არსებობს არალეგალური ტროცკისტული ორგანიზაცია, სადაც, როგორც ხელმძღვანელები, შედიან სმირნოვი და მრაჩკოვსკი. მან იცოდა აგრეთვე ბაკაევის ამბავი, რომლის შესახებაც სედოვი ამბობდა, იგი „მეტისმეტად ტერორისტულად განწყობილი“ ადამიანიაო. გორკიში ოლბერგმა ფედოტოვისაგან შეიტყო, რომ მებრძოლი რაზმები შეედგინათ ჯერ კიდევ მის ჩასვლამდე. ოლბერგს მხოლოდ თავდასხმის გეგმა უნდა შეემუშავებინა.

ტერორისტული აქტი უნდა მომხდარიყო 1936 წლის პირველ მაისს მოსკოვში.

ვიშინსკი: რამ შეუშალა ხელი ამ გეგმის განხორციელებას?

ოლბერგი: დაპატიმრებამ.

ვიშინსკი: თქვენ აცნობეთ სედოვს ტერორისტული აქტის სამზადისის მსვლელობა?

ოლბერგი: დიახ, მე რამდენჯერმე გავგზავნე წერილი სლომოვიცის მისამართით და მივიღე მისგან წერილი, ჩვენი ძველი მეგობარი დაჟინებით მოითხოვს, რომ „სადიპლომო სამუშაო“ ჩაბარებულ იქნას პირველი მაისისთვისო.

ვიშინსკი: „სადიპლომო სამუშაო“ რა არის ეს?

ოლბერგი: ეს არის სტალინის მოკვლა.

ვიშინსკი: „ძველი მეგობარი“ ვინღაა?

ოლბერგი: „ძველი მეგობარი“ ტროცკია.

ბრალდებული ბერმან-იურინის დაკითხვა

შემდეგ სასამართლო გადადის ბრალდებული ბერმან-იურინის დაკითხვაზე, რომელიც ტროცკისტული ორგანიზაციის აქტიური მონაწილეა და სსრ კავშირში ჩამოვიდა ტროცკის პირადი დავალებით ამხანაგი სტალინის მოკვლის მოსაწყობად.

ულრიხი: ბერმან-იურინ, გვიამბეთ, როგორა დავალება მიიღეთ

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

პროპაგანდისტის დასახმარებლად

თვალთმაქცნი—მკვლელნი

არაფერი არ არის ისე მტრული ბოლშევიკთა პარტიისა და მშრომელი მასებისადმი, როგორც თვალთმაქცობა. ამ მარშრუტების სიცხადე, ისტორიული სიმართლე, რომლებიც ლენინისა და სტალინის გენიამ პარტიასა და მთელ მშრომელ კაცობრიობას უჩვენა, მუდამ მოასწავებდნენ და ახლაც მოასწავებენ პროლეტარული რევოლუციონერის უდიდეს პრინციპულობას, კრისტალურ პატიოსნებასა და პირდაპირობას. რევოლუციური კომუნიზმის ფუძემდებლებს მარქსსა და ენგელსს ტყუილად კი არ დაუწერიათ კომუნისტური მანიფესტის უკანასკნელ სტრიქონებში სიტყვები, რომლებიც სიმართლისა და გაბედულების უდიდესი ძალით გაისმის:

„კომუნისტები ზედმეტად სთვლიან თავიანთ შეხედულებათა და განზრახვათა დამალვას“.

მხოლოდ ისტორიულად განწირული კლასები და მათი აგენტები იყენებენ თავიანთ საზიზღარ ბრძოლაში მშრომელთა წინააღმდეგ — მოტყუების, პირმოთნეობის, ორპირობის, ორმაგი თამაშის ბინძურ იარაღს, საზიზღარ თვალთმაქცობას.

თვალთმაქცობა — ანტიპარტიული ბრძოლის ყველაზე ბინძური და საზიზღარი მეთოდი — არაერთხელ გამოუყენებიათ სხვადასხვა ოპოზიციასა და პატარა ჯგუფებს, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. პარტიის ძალა, მისი ავტორიტეტი მშრომელთა შორის, მისი გენერალური ხაზის ისტორიული სიმართლე მუდამ იმდენად დიდი იყო, რომ კლასობრივი მტრის აგენტურა ხშირად ვერ ბედავდა აშკარად გამოსვლას და ამჯობინებდა დაემალა თავისი ნამდვილი სახე პარტიასთან გარეგანი თანხმობის ნიღბით.

მაგრამ კონტრრევოლუციურმა ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ჯგუფმა, რომელიც კაცისმკვლელთა ბანდად გადაიქცა, თვალთმაქცობის „ხელოვნება“ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

თვალთმაქცობის ბინძური ტაქტიკა ოდითვე მშობლიური იყო მტერთა ამ ხროვის ხელმძღვანელებისათვის. თვალთმაქცობა ტროცკის საქციელის განმასხვავებელი ნიშანი იყო მისი ანტიპარტიული მოღვაწეობის მთელი წლების მანძილზე. ტყუილად კი არ დადაღა ლენინმა ტროცკი იუდუშკის სამარცხვინო სახელით, იმ ლიტერატურული ტიპის სახელით, რომელშიაც დიდმა რუსმა მწერალმა სალტიკოვ-შჩედრინმა განაზოგადა უსაზღვრო სისაძაგლის, საზიზღარი პირმოთნეობისა და მოტყუების თვისებანი.

I.

ზინოვიევი და კამენევი, როცა ისინი პარტიის რიგებში იმყოფებოდნენ, ვერ ბედავდნენ აშკარად გამოსვლას ლენინის წინააღმდეგ და ხშირად მიმართავდნენ თვალთმაქცურ ტაქტიკას. მაგალითად, 1909 წელს ზინოვიევმა და კამენევმა, რომლებსაც ეშინოდათ განეცხადებინათ ლენინისათვის, რომ ისინი არ ეთანხმებიან მის გასვლას „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციიდან, მის ზურგს უკან აცნობეს პოლონეთისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის წევრს ვარსკის, რომელიც მენშევიკებს უჭერდა მხარს, რომ ისინი არ ეთანხმებიან ლენინის პოზიციას და მზად არიან მოურიგდნენ მენშევიკებს.

იმპერიალისტური ომის წლებში ზინოვიევი ჩუმჩუმად, თვალთმაქცურად, მხარს უჭერდა ბუხარინის, პიატაკოვის, ე. ბოშის ჯგუფის ანტილენინურ პოზიციებს. ცნობილია, რომ ზინოვიევის ეს თვალთმაქცობა გამოამჟღავნა ლენინმა.

ზინოვიევისა და კამენევის შტრეიკბრეხერობა 1917 წელს განუყრელად იყო დაკავშირებული მათს თვალთმაქცობასთან. „მთელ თვეს დაუმალო პარტიას შენი შეხედულებანი გადაწყვეტილების მიღებამდე და დაგზავნო განსაკუთრებული აზრი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ—ეს იმას ნიშნავს, რომ შტრეიკბრეხერი იყო“, — ამბობდა ლენინი. სწორედ ამ დროს სწერდა ლენინი: „ის, რაც ზინოვიევმა და კამენევმა ჩაიდინეს — ეს არის ამ ორი პირის უსაზღვრო სისაძაგლე, ნამდვილი მოღალატეობა“. 1)

ბრესტის ზავის პერიოდში ზინოვიევი და კამენევი ფორმალურად ხმას აძლევდნენ ლენინს, ხოლო არსებითად კაპიტულაციის პოზიციებზე იდგნენ და ამტკიცებდნენ, რომ ბრესტის ზავი დამღუპველია რევოლუციისთვისაო.

ანტიპარტიული ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფი სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებს თავისი საზიზღარი მიზნებისათვის თვალთმაქცობას 1925—1927 წლებში, იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა სოციალისტური რეკონსტრუქციისაკენ შემოტრიალების გზაზე იდგა. ტროცკიმ, ზინოვიევმა, კამენევმა და მათმა ხელშემწყობებმა იცოდნენ, რომ მთელი პარტია მიჰყვება და გაჰყვება ამხანაგ სტალინს, გაჰყვება იმას, ვინც ლენინთან ერთად დაუღალავ ბრძოლებში ზრდიდა, აშენებდა პარტიას, ვინც ლენინის გარდაცვალების შემდეგ იგი ახალი გამარჯვებებისაკენ წაიყვანა.

მხოლოდ თავისი ნამდვილი ზრახვების შენიღბვით შეეძლო ტროცკისტულ-ზინოვიევურ ჯგუფს ჰქონოდა თუნდაც ოდნავი წარმატების იმედი. ცნობილია, რომ, ამზადებდა რა ანტიპარტიულ გამოსვლას XIV ყრილობაზე, ზინოვიევმა, ყრილობის წინ, ლენინგრადის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე, იმის შიშით, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია მიხვდებოდა ოპოზიციონერთა მატყუარა ტაქტიკას და განდევნიდა მათ, განაცხადა, რომ იგი სოლიდარობას უცხადებს ცენტრალური კომიტეტის ხაზს, პარტიის ხაზს. ეს თვალთმაქცური განცხადება გაკეთებული იყო სწორედ იმ მომენტში, როცა ზინოვიევის ფრაქციული ხელმძღვანელობა ავრცელებდა ანტიპარტიულ დოკუმენტთა კრებულებს, თავიდან იშორებდა ისეთ ადამიანებს, რომლებიც ნამდვილად უჭერდნენ მხარს ცენტრალური კომიტეტის ხაზს, უაღრესად საზიზღარი საშუალებით აწარმოებდა დელეგატების შერჩევას კონფერენციასა და ყრილობაზე.

დამარცხდა რა XIV ყრილობაზე, ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია ყრილობის შემდეგ გაძლიერებით განაგრძობს თვალთმაქცობას, ცდილობს შენიღბოს მეორე პარტიის ორგანიზაციის ცდები, ანტიპარტიულ და ანტისაბჭოთა ელემენტების შემჭიდროვების ცდები.

XV პარტიულ კონფერენციაზე ამხანაგმა სტალინმა აშკარად დაგვანახვა... „საშუალებების განურჩევლობა და პოლიტიკაში უპრინციპობა, რომლებიც საფუძვლად დაედო ტროცკისტთა და „ახალი ოპოზიციის“ ბლოკის არსებობას“... 2)

ჯერ კიდევ მაშინ ამხანაგმა სტალინმა, რომელიც შეუბრალებლად ამჟღავნებდა ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფის საზიზღარ დამარღვეველ მუშაობას — კაპიტულანტობას და პორაჟენცობას, ტროცკისა და ზინოვიევის მიერ ჩვენი პარტიის ყალბ დასმენას ყველა ქვეყნის აგენტებთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებას ბურჟუაზიისათვის, ოპოზიციის კავშირს კონტრრევოლუციურ ელემენტებთან თეთრგვარდიელთა წრიდან და პუტჩის მომზადებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, — სამარცხვინო ბოძზე გააკრა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის თვალთმაქცობა.

„რითი აიხსნება ოპოზიციის ასეთი საქციელი? — ამბობდა ამხანაგი სტალინი პარტიის XV ყრილობაზე,—იგი მხოლოდ ერთი რამით შეიძლება აიხსნას: სურვილით შეცდომაში შეიყვანონ პარტია, მიაძინონ მისი სიფხიზლე, ერთხელ კიდევ მოატყუონ პარტია. ოპოზიციას ორი სახე აქვს: ერთი—ფარისეველურ-ალერსიანი, მეორე—მენშევიკურ-ანტირევოლუციური. იგი უჩვენებს პარტიას თავის ფარისეველურ-ალერსიან სახეს, როცა პარტიამ მას ძალას ატანს და მოითხოვს მისგან ხელი აიღოს ფრაქციულობაზე, გათიშვის პოლიტიკაზე. იგი უჩვენებს თავის მენშევიკურ-ანტირევოლუციურ სახეს, როცა იგი საჩივრით მიმართავს არაპროლეტარულ ძალებს, როცა იგი საჩივრით მიმართავს ქუჩას პარტიის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ... შეიძლება თუ არა ამ გაორების, ამ ორპირობის მოთმენა შემდეგში? ცხადია, რომ მეტი მოთმენა ერთ წუთსაც არ შეიძლება“. 3)

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ გამოამჟღავნა და გაანადგურა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია. მაგრამ ამ ბინძური ჯგუფის ნაშთებს არ დაუყრიათ იარაღი, და სწორედ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის განადგურების შემდეგ თვალთმაქცობა ხდება საბჭოთა ხალხის ამ დაუძინებელი მტრების მთელი დამარღვეველი „მუშაობის“ ძირითად მეთოდად.

II.

შეტევის სტალინურმა გეგმამ გაიმარჯვა. ამ გამარჯვების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა გამოხატულია ამხანაგი სტალინის შინაარსით ღრმა სიტყვებში: „ჩვენი რევოლუცია წარმოადგენს ერთადერთ რევოლუციას, რომელმაც არა მარტო დაამსხვრია კაპიტალიზმის ხუნდები და მისცა ხალხს თავისუფლება, არამედ შესძლო კიდევ მიეცა ხალხისათვის მატერიალური პირობები შეძლებული ცხოვრებისათვის. ამაშია ჩვენი რევოლუციის ძალა და უძლეველობა“ 4)

მშრომელთა მილიონებისათვის არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოშიც უდავოა ერთი ჭეშმარიტება: სტალინურ ხაზს, ხალხთა დიდი ბელადის გენიას უნდა უმადლოდნენ მშრომელი მასები სოციალიზმის ამ გიგანტურ გამარჯვებებს. პარტიისა და ხალხის დაუძინებელ მტრებს, საზიზღარ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ნაბოლარებს იმის იმედიც კი არ შეეძლოთ ჰქონდეთ, რომ პლატფორმის თუნდაც მსგავსებით გამოვიდნენ. მათ არაფერი დარჩენიათ, გარდა შიშველი სურვილისა დაეპატრონონ ხელისუფლებას.

საზიზღარი გამცემლები, კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდიტები და მათი ხელმძღვანელები — ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი თეთრგვარდიულ ტერორზე გადავიდნენ: მათ ვერაგულად მოჰკლეს ამხანაგი კიროვი, ისინი ამუშავებენ საზიზღარ ტერორისტულ გეგმებს, ადგენენ კაცისმკვლელთა ბანდებს უცხოეთის კონტრდაზვერვასთან, ჰიტლერის საიდუმლო პოლიციასთან—გესტაპოსთან ერთად და მათთან შეთანხმებით.

დაადგნენ რა მალულ მკვლელობათა გზას, ტროცკისტულ-ზინოვიევურმა კონტრრევოლუციონერებმა თვალთმაქცობის საზიზღარი „ხელოვნება“ უკიდურეს საფეხურზე აიყვანეს. მათ სურდათ კიდევ უფრო ღრმად შენიღბულიყვნენ, მიეძინებინათ პარტიის სიფხიზლე. ხალხის საძულველ მოღალატეებს, რომლებიც ბანდიტებად გადაიქცნენ, არ შეეძლიათ არ მიმართონ თვალთმაქცობას. ისინი თვალთმაქცობენ იმიტომ, რომ უკვე დიდი ხანია პოლიტიკური ბანკროტები გახდნენ. ისინი თვალთმაქცობენ იმიტომ, რომ მათი ხვედრია ის „უძლურების იზოლაცია“, რაზედაც სწორედ კამენევისა და ზინოვიევის მიმართ ლაპარაკობდა ლენინი 1917 წელს. ისინი თვალთმაქცობენ იმიტომ, რომ ცდილობენ გამოაშკარავებას გადაარჩინონ თავიანთი ტერორისტული არალეგალური ორგანიზაცია. ბოლოს, ისინი თვალთმაქცობენ იმიტომ, რომ როგორც პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებში, ისე საშუალებებშიც მთლიანად და სავსებით ფაშიზმს დაუკავშირდნენ.

კაპიტალისტური გარემოცვა არ წარმოადგენს განყენებულ ფორმულას, იგი გამოხატავს ორი მსოფლიოს რეალურ ურთიერთობას: დამპალი კაპიტალიზმის მსოფლიოსი და სოციალიზმის მზარდი და განმტკიცების გზაზე დამდგარი ახალგაზრდა მსოფლიოსი, რომელიც მას უპირისპირდება.

რაც უფრო მეტად იზრდება საბჭოთა კავშირის ინდუსტრიული ძლიერება, რაც უფრო მაღლა და უფრო შორს ფრინავენ საბჭოთა თვითმფრინავები, რაც უფრო მიუვალად იცავს საბჭოების ქვეყანას ომის გაჩაღებლებისაგან წითელი არმიის ფოლადის კედელი, რაც უფრო შემჭიდროებული მიდის სტალინის გზით ჩვენი ხალხი, რომელიც დიდით-პატარამდე ყოველ წუთს მზად არის საყვარელი ბელადის მოწოდებისთანავე აღსდგეს სოციალიზმის დასაცავად, — მით უფრო ძლიერი ხდება ფაშისტთა გაბოროტება და სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი. ხოლო ჩვენს გამარჯვებათა საერთაშორისო რეზონანსი, უდიდესი გამოხმაურება, ცეცხლი, რომელსაც მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულში აღანთებს საბჭოთა ქვეყნის ყოველი ნაბიჯი, — მშვიდობიანობის სტალინური პოლიტიკა, სტალინური კონსტიტუცია, რეკორდები ჩკალოვისა, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვისა, რომლებმაც სტალინური მარშრუტით იფრინეს, — აძლიერებენ კაცობრიობის მტრების, მუშათა კლასის ჯალათების ამ გაბოროტებასა და სიძულვილს.

ფაშიზმი ემზადება პირისპირი იერიშისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ამზადებენ რა ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ფაშისტთა ყველაზე ნაკლებად [illegible] ხელმძღვანელებსაც კი არ შეუძლიათ არ დაინახონ, თუ რა სიძნელეებსა და უსიამოვნებას უქადის მათ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მცირეოდენი ცდაც კი.

სწორედ ამიტომ, იმის სურვილი, რომ შეშფოთება შეიტანონ საბჭოთა ხალხის მშრომელ ოჯახში, იმის მისწრაფება, რომ მუხანათური ლახვარი ჩაგვცენ ზურგში, ახლა-უფრო მეტად ხდება, ვიდრე ოდესმე ფაშიზმის სანატრელ ოცნებად.

ჯერ კიდევ 1918 წელს ლენინი იძლეოდა გაფრთხილებას, რომ შეძლებულ კლასთა წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა „შეუპოვარი და ისეთი, რომელსაც შეუძლიან მიიღოს... სხვადასხვა ფორმა“... ამ ფორმებს შორის ლენინი ასახელებდა... „ბურჟუაზიის აგენტთა მოსყიდვას. რომლებიც ძვრებიან სოციალისტთა რიგებში, რათა დაღუპონ მათი საქმე“... 5)

სრულიად რუსეთის საბჭოთა მესამე ყრილობაზე ლენინი ამბობდა: „ბურჟუაზია ყველა საშუალებას იხმარს, ვა-ბანკზე წავა, რათა შემუსროს ჩვენი ერთობა. გამოჩნდებიან

---

1) ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XXI, გვ. 353—355.

2) ვ. ი. ლენინი და ი. სტალინი. ნაწარმოებთა კრებული საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისათვის. ტ. III. გვ. 139.

3) იქვე. გვ. 261.

4) ი. სტალინი. სიტყვა სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე 1935 წლის 17 ნოემბერს.

5) ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. XXII, გვ. 193.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის პროცესი

საზღვარგარეთ საბჭოთა კავშირში წამოსვლის წინ?

ბერმან-იურინი: დავალება მივიღე ტროცკისაგან, რათა წამოვსულიყავი საბჭოთა კავშირში სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოსახდენად. ვიყავი პირადად ტროცკისთან კოპენჰაგენში 1932 წლის ნოემბერს. შეხვედრა სედოვმა მომიწყო.

ამხ. ვიშინსკის კითხვებზე ბერმან-იურინი უჩვენებს, რომ იგი დიდი ხანია იცნობს სედოვს და ლაპარაკობს თავისი ტროცკისტული საქმიანობის შესახებ, რომელიც დაიწყო 1931 წლიდან. სედოვი გამაცნო გერმანიის ტროცკისტების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გრილევიჩმა.

ბერმან-იურინი: სედოვთან მთელი რიგი საუბრები მქონდა. სედოვი სისტემატურად ცდილობდა დავერწმუნებინე და დამარწმუნა კიდეც, რომ კომუნისტურ პარტიასთან ბრძოლა არის სტალინთან ბრძოლა.

სედოვის წინადადებით, ბერმან-იურინი 1931 წლის დამლევს შეხვდა ვინმე ალფრედ კუნტს, გადასცა მას საუბარი სედოვთან და მიიღო მისი თანხმობა მოსკოვს წასვლის შესახებ, აგრეთვე დაივალა, რომ წაეღოთ თან ორი დოკუმენტი ტროცკისაგან, განსაზღვრული მისამართით. მოსკოვში ალფრედ კუნტი პირადად უნდა დაჰკავშირებოდა ი. ნ. სმირნოვს. ბერმან-იურინი გაცნობილი იყო ალფრედ-კუნტის ხელით გაგზავნილი დოკუმენტების შინაარს.

ბერმან-იურინი: „ეს იყო სადირექტივო გეზი ტროცკისა ტროცკისტული არალეგალური მუშაობის ამოცანების შესახებ სსრ კავშირში. იქ ლაპარაკი იყო, რომ საჭიროა ვემზადოთ ბრძოლის გაბედულ და უკიდურეს მეთოდებზე გადასვლისათვის და რომ ამ თვალსაზრისით უნდა შეირჩეს იქნან გაბედული ადამიანები, რომელნიც ეთანხმებიან ტროცკის გეზს. განსაკუთრებული ყურადღება, ნათქვამი იყო წერილში, უნდა მიექცეს საკ. კ. პ. (ბ)-ს ტროცკისტ-წევრებს, რომელთაც პარტიის რიგებში სახელი არა აქვთ გატეხილი, როგორც ტროცკისტებს".

ალფრედ-კუნტი წამოვიდა მოსკოვს 1932 წლის იანვარ-თებერვალში, იყო გამოსაცხადებელ ბინაზე, გადასცა დოკუმენტები, მიიღო პასუხი, როგორც შეპირებული იყვნენ, მაგრამ სმირნოვს პირადად ვერ შეხვდა, რადგან ის მოსკოვში არ აღმოჩნდა.

1932 წლის ნოემბერში სედოვმა ბერმან-იურინს აცნობა, როდესაც მას შეხვდა, რომ უახლოეს ხანში ტროცკი იქნება კოპენჰაგენში და ჰკითხა, ხომ არ გსურს წასვლა იქ და პირადად შეხვედრა ტროცკისთან? ბერმან-იურინმა თანხმობა განაცხადა.

„კოპენჰაგენს, — უჩვენებს ბერმან-იურინი — დილაადრიანად ჩავედი. ეს იყო ნოემბრის დამლევს, 1932 წლის 25-28 ნოემბერს. ვაგზალზე შემხვდა გრილევიჩი და წავედით ტროცკისთან. იქ გრილევიჩმა გამაცნო ტროცკი, თვითონ წავიდა, ხოლო მე და ტროცკი მარტო დავრჩით ოთახში. ტროცკი ამბობდა, ძირითადი საკითხი არის საკითხი სტალინის შესახებ. სტალინი ფიზიკურად უნდა მოვსპოთო... მან სთქვა, ამისათვის საჭირო არიან ადამიანები, რომელნიც ყველაფერს გაბედავენ, რომელნიც თავსაც გასწირავენ ამ, როგორც მან სთქვა, ისტორიული ამოცანისთვისო".

ამით დამთავრდა პირველი საუბარი. ტროცკი სადღაც წავიდა, ბერმან-იურინი დარჩა მასთან ბინაში და ელოდა მის დაბრუნებას.

ბერმან-იურინი: საღამოს ჩვენ განვაგრძეთ საუბარი. მე შევეკითხე მას, როგორ შევუთანხმოთ ერთმანეთს ინდივიდუალური ტერორი და მარქსიზმ-მეთქი. ტროცკიმ ამაზე შემდეგი განმიცხადა: არ შეიძლება საკითხებს დოგმატურად მივუდგეთ. მან სთქვა, საბჭოთა კავშირში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომლის გათვალისწინებაც მარქსს არ შეეძლოო. ტროცკიმ სთქვა კიდევ, სტალინს გარდა კაგანოვიჩი და ვოროშილოვი უნდა მოვკლათო".

ვიშინსკი: თქვენ მიეცით თანხმობა?

ბერმან-იურინი: დიახ!

მას შემდეგ, რაც ბერმან-იურინი დათანხმდა ტერორისტული აქტის მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღებაზე, ტროცკიმ წინადადება მისცა მას: მოემზადე მოსკოვს წასასვლელადო, ურჩია გამოეყენებინა ტერორისტული აქტის მოსახდენად ნაცნობობა კომინტერნის აპარატში.

ვიშინსკი: მაშასადამე, ტროცკიმ თქვენ მარტო ზოგადი მითითებანი კი არ მოგცათ, არამედ მან თქვენი ამოცანაც დააკონკრეტა?

ბერმან-იურინი: მან განაცხადა, ტერორისტული აქტი შეძლებისდაგვარად უნდა მოვახდინოთ კომინტერნის რომელიმე პლენუმის, ან კონგრესის დროს, რათა გასროლამ სტალინის მიმართ დაიჭექოს დიდ კრებაზეო.

ეს საუბარი ხდებოდა 1932 წლის ნოემბრის დამლევს. მოსკოვს ბერმან-იურინი წამოვიდა 1933 წლის მარტში. წამოსვლის წინ სედოვმა მართლაც მისცა ინსტრუქცია, დაჰკავშირებოდა ფრიც დავიდს და მასთან ერთად ემზადებინა ტერორისტული აქტი. მოსკოვში ჩამოსვლისთანავე ბერმან-იურინი შეხვდა ფრიც დავიდს, ერთად განიხილეს ტერორისტული გეგმა და შეუდგნენ მისთვის მზადებას. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ამხანაგ სტალინზე თავდასხმას მოახერხებდნენ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მე-13 პლენუმზე. ფრიც დავიდს უნდა ეშოვნა სადმე ბერმან-იურინისათვის შესასვლელი ბილეთი. ბერმან-იურინს კი უნდა ესროლა სტალინისათვის. ფრიც დავიდმა ბილეთი ბერმან-იურინისათვის ვერ იშოვნა და გეგმა ჩაიშალა. გადასწყდა ამხ. სტალინის მოკვლა კომინტერნის კონგრესზე განეხორციელებინათ.

ბერმან-იურინი: „კონგრესი უნდა მოწვეულიყო 1935 წლის სექტემბერში. ბრაუნინგი ვაზნებით მივეცი ფრიც დავიდს, რათა მას შეენახა თავისთან. მაგრამ კონგრესის გახსნის წინ ფრიც დავიდმა შემატყობინა, ჯერ კიდევ არ შემიძლიან ბილეთის შოვნა, თვითონ მე კი ვიქნები კონგრესზეო. ჩვენ შევთანხმდით, რომ ისევე მოახდენდა ტერორისტულ აქტს.

რამდენიმე დღის შემდეგ მე და ფრიც დავიდი ერთმანეთს შევხვდით და მან მითხრა, ვერ ვესროლეო. იგი, ფრიც დავიდი, იჯდა ლოჟაში, ლოჟაში ბევრი ხალხი იყო და არავითარი შესაძლებლობა არ იყო სროლისაო. ამგვარად, ჩვენი ეს გეგმაც ჩაიშალა".

შემდეგ ბერმან-იურინმა უჩვენა სასამართლოს, რომ დეკემბერში ფრიც დავიდმა შეატყობინა მას ტროცკის მითითება, რომელიც მიღებული იყო სპეციალური შიკრიკის ხელით; მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა ყოველმხრივ დაჩქარდეს აქტის მომზადება. 1936 წლის მაისში ფრიც დავიდმა გადასცა ბერმან-იურინს, რომ მასთან კვლავ იყო შიკრიკი ტროცკისაგან, გერმანელი, რომელიც მეტისმეტად მკაცრად ელაპარაკებოდა, გვაბრალებდა უმოქმედობას, გაუბედაობას, სიმამაცის უქონლობასა და პირდაპირ მოითხოვდა — ყოველი შემთხვევა გამოგვეყენებინა სტალინის მოსაკლავად. უნდა ვიჩქაროთ, დროის დაკარგვა შეუძლებელიაო, — ამბობდა ის.

1936 წლის მაისის დამლევს დამაპატიმრეს და ჩემი ტერორისტული საქმიანობაც შეწყდა".

ბერმან-იურინის დაკითხვის დასასრულს ამხ. ვიშინსკი კიდევ აყენებს ბერმან-იურინის შეხვედრების საკითხს ტროცკის შვილ სედოვთან. ბერმანი უჩვენებს, რომ მას სედოვთან არაერთი შეხვედრა ჰქონია 1931 წლის დამლევიდან 1933 წლის მარტამდე.

ვიშინსკი: ტროცკიც და სედოვიც აყენებდნენ თქვენს წინაშე ტერორის საკითხს და აგიტაციას გიწევდნენ, რათა დათანხმებულიყავით ტერორისტულ აქტზე?

ბერმან-იურინი სრულიად მართალია.

ვიშინსკი: თქვენ მიეცით თანხმობა და გამოგზავნილი იყავით ტროცკისაგან?

ბერმან-იურინი: ტროცკისაგან სედოვის საშუალებით.

ბრალდებულ ბერმან-იურინის დაკითხვით მთავრდება 20 აგვისტოს საღამოს სხდომა.

21 აგვისტოს დილის სხდომა

ბრალდებული გოლცმანის დაკითხვა

21 აგვისტოს დილის სხდომა იწყება ბრალდებული გოლცმანის დაკითხვით.

გოლცმანი — ტროცკისტული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთი უაქტიურესი მონაწილეა. იგი პირადად იყო დაკავშირებული ტროცკისტული ცენტრის ხელმძღვანელთან საბჭოთა კავშირში — ი. ნ. სმირნოვთან.

სმირნოვის დავალებით მას კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთის ტროცკისტულ ცენტრთან.

1932 წელს მან პირადად ლ. ტროცკისაგან მიიღო დირექტივა მოემზადებინა ტერორისტული აქტები საკ. კ. პ. (ბ)-ისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

გოლცმანი ამბობს, რომ სმირნოვს იგი იცნობდა 1928 წლიდან. 1926 წელს გოლცმანი შევიდა ტროცკისტულ ორგანიზაციას. შემდეგ, ფორმალურად გასწყვიტა რა კავშირი ტროცკისტებთან, განაგრძობდა მათთან შეხვედრას, კერძოდ, სმირნოვთან შეხვედრას.

გოლცმანი დიდხანს არ ტყდება, ლაპარაკობს მიკიბულ-მოკიბულად და ცდილობს არ აღიაროს თავისი არალეგალური ტროცკისტული მუშაობა, მაგრამ შემდეგ, უპასუხებს რა ამხ. ვიშინსკის მიერ პირდაპირ დაყენებულ კითხვებზე, აჩვენებს, რომ 1931 წელს იგი „შემთხვევით" შეხვდა სმირნოვს ქუჩაში. სმირნოვმა წინადადება მისცა მას შეხვედროდნენ ხოლმე ერთმანეთს სმირნოვის დედის ბინაზე. 1932 წელს გოლცმანი მივიდა შესახვედრად და აცნობა სმირნოვს, რომ განზრახული აქვს ახლო მომავალში მგზავრობა საზღვარგარეთ, მაგრამ „უარს ამბობს და უხალისოდ მიდის". სმირნოვმა ურჩია მას გამგზავრებულიყო. გოლცმანი დასთანხმდა.

გოლცმანისა და სმირნოვის ჯვარედინი დაკითხვით დასტურდება, რომ გოლცმანი სმირნოვს განსაკუთრებულ კონსპირაციულ მდგომარეობაში ჰყავდა და იყენებდა მას საგანგებო კონსპირაციული დავალებებისათვის.

ბრალდებული გოლცმანი მრავალი ცდის მიუხედავად, ვერ ახერხებს იმ ფაქტის უარყოფას, რომ ტროცკისტული ცენტრის დავალებით იგი კონსპირირებულ ტროცკისტად რჩებოდა პარტიის შიგნით.

ვიშინსკი: თქვენ ფორმალურად პარტიაში იყავით?

გოლცმანი: დიახ.

ვიშინსკი: იმავე დროს თქვენ ტროცკისტი იყავით.

გოლცმანი: დიახ, ტროცკისტი

ვიშინსკი: და?

გოლცმანი: კონტრრევოლუციონერი.

ვიშინსკი: და თვალთმაქციც?

გოლცმანი: დიახ.

საზღვარგარეთ გამგზავრების წინ გოლცმანი გამოცხადდა დანიშნულ ადგილას და შეხვდა იქ სმირნოვს. სმირნოვმა უთხრა გოლცმანს, რომ ბერლინში ყოფნის დროს იგი უნდა შეხვდეს ტროცკის შვილს — სედოვს.

სმირნოვმა უთხრა გოლცმანს, რომ იგი მისცემს მას მოხსენებას, რომელიც მან უნდა გადასცეს სედოვს ტროცკისათვის. როგორც გოლცმანი და სმირნოვი ადასტურებენ, მოხსენება უნდა გადაეცათ პირადად სედოვისთვის, რომელიც მას ტროცკის გადასცემდა.

სმირნოვმა მას აცნობა პაროლი, რომელიც ამბობდა: „გალი სალამს გიძღვნით". შემდგომი ჩვენებით ირკვევა, რომ სმირნოვმა აგრეთვე აცნობა გოლცმანს შიფრი ტროცკისთან მიწერ-მოწერისათვის. ამ შიფრისთვის იყენებდნენ წიგნის „ათას ერთი ღამის" განსაზღვრულ გვერდებს.

გოლცმანმა გადასცა სედოვს მოხსენება და შიფრი და ოთხი თვის განმავლობაში მას 6—7 ჯერ შეხვდა. ნოემბერში, — განაგრძობს თავის ჩვენებას გოლცმანი, — მე კვლავ დავურეკე სედოვს და ჩვენ კიდევ შევხვდით ერთმანეთს.

სედოვმა მითხრა: „რადგან თქვენ საბჭოთა კავშირში აპირებთ გამგზავრებას, კარგი იქნებოდა, თქვენ რომ ჩემთან ერთად წამოსულიყავით კოპენჰაგენში, სადაც მამაჩემი იმყოფება.

ვიშინსკი: ესე-იგი, ვინ?

გოლცმანი: ესე-იგი ტროცკი.

ვიშინსკი: თქვენ გაემგზავრეთ?

გოლცმანი: მე დავეთანხმე... როცა ჩვენ ტროცკისთან მივედით, მას, უწინარეს ყოვლისა, აინტერესებდა პარტიული მასების განწყობილება და მათი დამოკიდებულება სტალინისადმი.

მე მას ვუთხარი: დღეს ვაპირებ კოპენჰაგენიდან წასვლას და რამდენიმე დღის შემდეგ გავემგზავრები საბჭოთა კავშირში - მეთქი. მაშინ ტროცკიმ, რომელიც საკმაოდ აღელვებული დადიოდა ოთახში, მითხრა: — მე ვამზადებ წერილს სმირნოვისათვის, მაგრამ ვინაიდან თქვენ დღესვე მიემგზავრებით, ამას ველარ ვიზამო.

გოლცმანი უჩვენებს, რომ მასთან შემდგომს საუბარში ტროცკიმ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა სტალინის თავიდან მოშორება. ამის გამო სახელმწიფო ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის შემდეგი დიალოგი იმართება:

ვიშინსკი: რას ნიშნავს „სტალინის თავიდან მოშორება?" განგვიმარტეთ.

გოლცმანი: მე გეტყვით ამას. შემდეგ ტროცკი ამბობდა, თუ სტალინი თავიდან მოვიშორეთ, ამით შესაძლებელია ტროცკისტები დაეპატრონონ ხელისუფლებას და საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობასო.

ამასთან მან სთქვა, რომ სტალინის თავიდან მოშორების ერთადერთი საშუალება — ეს არის ტერორი.

ვიშინსკი: ტროცკიმ პირდაპირ ასე სთქვა?

გოლცმანი: დიახ. როგორც მან სთქვა, ამისათვის საჭიროა შევარჩიოთ პასუხისმგებელ და ამ საქმისათვის გამოსადეგ ადამიანთა კადრები. შემდეგ მან მითხრა — გადაეცა ეს სმირნოვისთვის და სხვებისთვის კი არაფერი მეთქვა.

ვიშინსკი: მაშასადამე, ტროცკიმ თქვენ პირდაპირ გითხრათ, რომ ახლა (ეს, მაშასადამე, იყო 1932 წლის შემოდგომაზე) ძირითად ამოცანას წარმოადგენს ამხანაგ სტალინის მოკვლა. თქვენ ეს კარგად გახსოვთ?

გოლცმანი: დიახ.

ვიშინსკი: მაშასადამე, ამაში მდგომარეობდა ტროცკის დირექტივა?

გოლცმანი: დიახ, ტროცკის არ შეეძლო მისი წერილობით გადმოცემა და ამიტომ მე იგი სიტყვიერი ფორმით მივიღე და მისი ზუსტი აზრი გადმოვეცი მოსკოვში ჩამოსვლისას.

დაკითხვის შემდგომს მსვლელობაში გოლცმანი ცდილობს თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას, იგი აცხადებს, რომ არ იზიარებდა ტროცკის თვალსაზრისს ტერორზე. ბრალდებულს იქვე ამხელენ, რომ სსრ კავშირში დაბრუნების შემდეგ იგი განაგრძობდა ყოფნას არალეგალურ ტროცკისტულ ორგანიზაციაში, განაგრძობდა ტროცკისტებთან შეხვედრას.

დაკითხვის დასასრულ ამხ. ვიშინსკი საბოლოოდ ამხელს გოლცმანს.

ვიშინსკი: ჩვენ ვიცით, რომ ტერორის შესახებ დირექტივა რამდენიმე ხნის შემდეგ სმირნოვმა უთქვენოდაც მიიღო. მე თქვენ ბრალს გდებთ იმაში, რომ მიიღეთ ეს დირექტივა. თქვენ იცოდით, რომ ტროცკისტებს უკვე აღებული ჰქონდათ ტერორის გეზი და ამ პირობებში განაგრძობდით ტროცკისტად ყოფნას?

გოლცმანი: დიახ.

ვიშინსკი: განაგრძობდით კავშირს ტროცკისტებთან?

გოლცმანი: დიახ.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ განაგრძობდით ტროცკისტული ორგანიზაციის წევრად ყოფნას?

გოლცმანი: დიახ.

ბრალდებული ნ. ლურიეს დაკითხვა

დაჰკითხეს ბრალდებულ ნათან ლურიეს. ტროცკისტული ორგანიზაციის სპეციალური დავალებით იგი ბერლინიდან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში ტერორისტული აქტების მოსახდენად. 1927 წლიდან დაწყებული მთელი მისი ტროცკისტული მუშაობის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისათვის ძირის გამოთხრა.

ვიშინსკი: როდის აღგეძრათ თქვენ ტერორისტული განწყობილებანი, განზრახვები, ტერორისტული გეგმები?

ნ. ლურიე: მთელი ის წლები, რომლებიც მე გერმანიის ტროცკისტულ ორგანიზაციაში გავატარე, ბოლოს და ბოლოს ამოიწურებოდა სიძულვილის გაღვივებით სტალინისა და საკ. კ.პ. (ბ) ხელმძღვანელობისადმი, როგორც ამას მიზნად ისახავდა ტროცკისტული ორგანიზაცია. 1932 წლის დამლევს მოსე ლურიემ მითხრა, დროა გაემგზავრო საბჭოთა კავშირში და აწარმოო იქ ტერორისტული მუშაობაო. ეს მისი მითითება ჩემთვის არ იყო მოულოდნელი. იგი ლოგიკურად გამომდინარეობდა მთელი წინანდელი მუშაობიდან. მე 1932 წლის აპრილს ჩამოვედი საბჭოთა კავშირში იმ დავალებით, რომ დავკავშირებოდი აქ ტროცკისტებს, რომლებსაც მე გერმანიიდან ვიცნობდი და მათთან ერთად მეწარმოებინა ტერორისტული მუშაობა.

ნ. ლურიემ დაიწყო იმით, რომ მოსკოვში დაამყარა კავშირი ტროცკისტებთან, უწინარეს ყოვლისა, იმათთან, ვისაც გერმანიიდან იცნობდა: კონსტანტთან და ლიპშიცთან.

ნ. ლურიე: კონსტანტს გავაცანი ტერორზე აღებული გეზი, რომელიც მე მოსე ლურიეს საშუალებით მივიღე ტროცკისტული ორგანიზაციისაგან. კონსტანტმა მითხრა, ეს ჩემთვის ახალი ამბავი როდია. ჩვენ გვაქვს აღებული გეზი ტერორზე და პრაქტიკულად კიდეც შევუდექით მის განხორციელებასაო. მან მითხრა, რომ მათ ჰყავთ ტერორისტული ჯგუფი, რომელშიაც შედიან კონსტანტი და ლიპშიცი, აგრეთვე ერთი გერმანელი ინჟინერი, არქიტექტორი ფრანც ვაიცი.

ვიშინსკი: ვინ არის ფრანც ვაიცი?

ნ. ლურიე: ფრანც ვაიცი იყო გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი, საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა გიმლერის დავალებით, რომელიც იმ დროს მცველი რაზმების უფროსი იყო, შემდეგ კი გესტაპოს უფროსი გახდა.

ვიშინსკი: ფრანც ვაიცი მისი წარმომადგენელი იყო?

ნ. ლურიე: ფრანც ვაიცი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა გიმლერის დავალებით ტერორისტული აქტების შესასრულებლად.

ვიშინსკი: საიდან გაიგეთ ეს?

ნ. ლურიე: ჯერ მითხრა კონსტანტმა, ხოლო შემდეგ თვით ფრანც ვაიცმა.

იმ გარემოებას, რომ ტროცკისტულ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა გერმანიის პოლიტიკური პოლიციის პირდაპირი აგენტი, ოდნავადაც არ შეუწუხებია ნ. ლურიე და მისი ტროცკისტული კომპანია.

— მე იმ დასკვნამდე მივედი, — ამბობს ნ. ლურიე, — რომ თუ ტროცკისტები შეიარაღებული ბრძოლის მეთოდებზე გადავიდნენ, ამას აქვს თავისი ლოგიკა, ესე იგი, თუ ფაშისტი თავის სამსახურს გვთავაზობს ტერორისათვის, ამით საჭიროა ვისარგებლოთ. მე შევიტანე წინადადება კავშირი დაგვემყარებინა ფრანც ვაიცთან და ვმუშაობდი მისი პრაქტიკული ხელმძღვანელობით.

1932 წლის აგვისტოში ფრანც ვაიცმა აცნობა ნ. ლურიეს, რომ არის შესაძლებლობა მოეწყოს ხელყოფა (Покушение) სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარ ამხ. ვოროშილოვზე. ტერორისტულმა ჯგუფმა ფაშისტური ოხრანკის თანამშრომლისაგან მიიღო დავალება შესდგომოდა საქმეს. დიდი ხნის განმავლობაში ნ. ლურიეს ჯგუფი ამზადებდა ამხ. ვოროშილოვზე ხელყოფას. მას განზრახვა ჰქონდა ესროლა ამხ. ვოროშილოვისათვის ქუჩაში მისი გავლის დროს.

მაგრამ როცა ხელყოფის რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ისინი დარწმუნდნენ, რომ მანქანისთვის რევოლვერის სროლას აზრი არა აქვს, ისინი გადავიდნენ ასაფეთქებელ ნივთიერებათა შეგროვებაზე.

თავმჯდომარე: თქვენ რა ხასიათის ტერორისტული აქტის განზრახვა გქონდათ?

ნ. ლურიე: ტერორისტული აქტისა — ყუმბარით.

1933 წლის ივლისში ნ. ლურიე სამუშაოდ გაგზავნეს ჩელიაბინსკში, როგორც ექიმი-ქირურგი (სპეციალობის მიხედვით).

ჩელიაბინსკში ნ. ლურიე არ სწყვეტს თავის ტერორისტულ მუშაობას და არ სტოვებს თავის ტერორისტულ განზრახვებს.

ნ. ლურიე აჩვენებს სასამართლოს, რომ, იცოდა რა ჩელიაბინსკში ამხ. კაგანოვიჩისა და ორჯონიკიძის ჩამოსვლის ამბავი, იგი ცდილობდა შეხვედროდა მათ ქარხანაში და მოეხდინა ტერორისტული აქტი.

1936 წლის იანვარში ნ. ლურიემ მიიღო სამეცნიერო მივლინება და ჩელიაბინსკიდან ლენინგრადში გაემგზავრა. მოსკოვში გავლისას იგი შეხვდა მოსე ლურიეს, რომელმაც მას მისცა დავალება მოეხდინა თავდასხმა ამხ. ჟდანოვზე.

თავმჯდომარე: როცა ლენინგრადში მიემგზავრებოდით, იკისრეთ თუ არა მ. ლურიეს მითითების განხორციელება?

ნ. ლურიე: მე ვიცოდი, რომ მონაწილეობას მივიღებდი საპირველმაისო დემონსტრაციაში და თუ შესაძლებელი იქნებოდა, შევეცდებოდი შემესრულებინა ეს დავალება.

თავმჯდომარე: რატომ ვერ მოახერხეთ ჟდანოვზე თავდასხმის მოხდენა?

ნ. ლურიე: ჩვენ შორს მივდიოდით.

ბრალდებული მ. ლურიეს დაკითხვა

თავმჯდომარის შეკითხვაზე მ. ლურიე აცხადებს, რომ მთლიანად ადასტურებს თავის ჩვენებას რომელიც მან წინასწარი გამოძიების დროს მისცა.

ვიშინსკი: ერთი გვითხარით, ბრალდებულო ლურიე, რა კონკრეტული ნაბიჯები გადასდგით თქვენს ტერორისტულ საქმიანობაში?

მ. ლურიე: როცა 1933 წლის 4 მარტს ბერლინიდან მოსკოვს მოვდიოდი, მე მივიღე სადირექტივო ხასიათის დავალება. ეს დავალება ფაქტიურად მივიღე რუტ ფიშერისა და მასლოვისაგან, მაგრამ ფაქტიურად ეს იყო თვით ტროცკის დავალება. დავალება შემდეგი ხასიათისა იყო: ტროცკი ფიქრობს და დაბეჯითებით მოითხოვს, ხოლო ჩვენ, ე. ი. მასლოვი და რუტ ფიშერი სოლიდარობას ვუცხადებთ ტროცკის ამ დირექტივას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა დაჩქარდეს ტერორისტული აქტების მოწყობა საკ. კ. პ. (ბ)-ისა და მთავრობის ხელმძღვანელებზე, პირველ რიგში კი — სტალინზე.

ვიშინსკი: მე ველი თქვენს ახსნა-განმარტებას, თუ რა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგით ამ მიმართულებით.

მ. ლურიე: როცა 1933 წლის 9 მარტს მოსკოვში ჩამოვედი, ეს სიტყვიერი დირექტივა გადავეცი ზინოვიევის ყოფილ პირად ემისარს ბერლინში ა. ვ. ჰერცბერგს. ჰერცბერგთან მე დაკავშირებული ვიყავი ზინოვიევის მუშაობით 1927 წლის ნოემბრიდან 1931 წლის დამლევამდე, სანამ იგი მოსკოვს გამგზავრებოდა.

მ. ლურიე უპასუხებს პროკურორის შეკითხვებს იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზე, რომლებიც ბრალდებულმა გადასდგა ტერორისტული აქტების მოსაწყობად და სასამართლოს აცნობებს, რომ იგი სამჯერ შეხვდა ზინოვიევს. ერთ-ერთ ამ შეხვედრისას, რასაც ადგილი ჰქონდა ზინოვიევის ბინაზე 1934 წლის აგვისტოს დამლევს, ლურიემ დაწვრილებით აცნობა ზინოვიევს ტროცკის დირექტივები, მიღებულნი რუტ ფიშერისა და მასლოვის საშუალებით, და ტერორისტული აქტების მომზადება, კერძოდ, მისი მოგვარის — ნათან ლურიეს ჯგუფის საქმიანობა.

შემდგომ მ. ლურიე სასამართლოს მოუთხრობს, თუ როგორ აწყობდა იგი თავდასხმას ამხ. ორჯონიკიძის წინააღმდეგ. ეს ტერორისტული აქტი უნდა განხორციელებულიყო ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანაში ამხ. ორჯონიკიძის ჩასვლის დროს. ამ მიზნით მ. ლურიემ წინადადება მისცა ნათან ლურიეს, გამგზავრებულიყო ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანაში, მოწყობილიყო იქ ქარხნის ექიმად და ამხ. ორჯონიკიძის შესაძლებელი ჩასვლა ქარხანაში გამოეყენებინა ტერორისტული აქტის განსახორციელებლად.

ვიშინსკი: კიდევ რა ღონისძიებებში იღებდით მონაწილეობას ტერორისტული აქტების მოსახდენად?

მ. ლურიე: მე მონაწილეობას ვიღებდი ჟდანოვის წინააღმდეგ ხელყოფაში.

ბრალდებული დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ 1936 წლის 2 იანვარს როგორ გადასცა მან ნათან ლურიეს კონკრეტული დავალება ამხ. ჟდანოვის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობის შესახებ, დაჰპირდა მას, რომ დამატებით მისცემდა შესახვედრ ადგილებს და დააკავშირებდა მას ზაიდელის ტერორისტულ ჯგუფთან ლენინგრადში.

შემდგომ ამხ. ვიშინსკი ეკითხება მოსე ლურიეს, თუ რა შეუძლიან კიდევ დასძინოს თავის ჩვენებებს.

მოსე ლურიე: მე შემიძლიან ცოტაოდენი რამ დავძინო ნათან ლურიეს ჩვენებას და ჩემს მნიშვნელოვან ლაპარაკს ზინოვიევთან ვაიცის ჯგუფის შესახებ. ნათან ლურიემ კონკრეტულად მაცნობა ვაიცის მიერ მოწყობილი ტერორისტული ჯგუფის მუშაობის ამბავი. ეხებოდა რა ჩემი შეშფოთება ასეთი ბლოკავშირის გამო, ნ. ლურიე შემეკითხა, თუ როგორ ვუყურებდი ამ საქმეს. მე ვუპასუხე, რომ ჩემი პირადი დამოკიდებულება აქ როლს არ თამაშობს, რომ ამის შესახებ მე დაუყოვნებლივ ვაცნობებ სადაც ჯერ არს; ნ. ლურიეს ვუთხარი. თუ შენ უარყოფითი პასუხს არ მიიღებ, მაშასადამე შენ უკვე ცენტრის დასტურით მუშაობ-მეთქი.

ვიშინსკი: ვინ გყავდათ თქვენ პერსონალურად მხედველობაში?

მოსე ლურიე: მე კავშირი მქონდა ზინოვიევისთვის განსაკუთრებით სანდო პირთან — ა. ვ. ჰერცბერგთან. ნათან ლურიეს ჩემგან არ მიუღია უარყოფითი პასუხი. ნათან ლურიეს ჯგუფი, რომელიც მოწყობილი იყო ფაშისტურ ფრანც ვაიცის მიერ, 1933 წლის აპრილს ნათან ლურიეს ჩემთან საუბრის დროიდან მუშაობდა ცენტრისა და პირადად ზინოვიევის უშუალო დასტურითა და თანხმობით.

ვიშინსკი: იცით თუ არა, რომ დირექტივა გადაცემული იყო?

მ. ლურიე: სრულიად ზუსტად.

ვიშინსკი: თქვენ კავშირი გქონდათ ნათან ლურიეს ჯგუფთან და იმავე დროს ფაშისტურ აგენტ ფრანც ვაიცთან?

მ. ლურიე: დიახ.

ბრალდებული ტერ-ვაგანიანის დაკითხვა

სასამართლო გადადის ბრალდებული ტერ-ვაგანიანის დაკითხვაზე.

ბრალდებული ტერ-ვაგანიანი უპასუხებს ამხ. ვიშინსკის შეკითხვებს და აღიარებს, რომ იგი იყო ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის ერთ-ერთი ორგანიზატორი, აგრეთვე იმას, რომ ეს ცენტრი მოეწყო ტერორის შესახებ ტროცკის დირექტივის საფუძველზე. ტერ-ვაგანიანი იძლევა ჩვენებას თავის ტერორისტულ საქმიანობაზე და აღიარებს, რომ იგი სმირნოვისა და კამენევის დავალებით მუშაობდა.

ვიშინსკი: 1931 წელს სმირნოვი განწყობილი იყო თუ არა ბრძოლის ძალდატანებითი მეთოდებისათვის?

ტერ-ვაგანიანი: დიახ, როგორც ყველა ტროცკისტი, რომლებიც სმირნოვს გარს ეხვივნენ.

ტერ-ვაგანიანი თავის შემდგომს ჩვენებებში ადასტურებს მოწმე საფონოვას ჩვენებას, რომ საფონოვამ ტერ-ვაგანიანს აცნობა სმირნოვის საზღვარგარეთ გამგზავრება და უკანასკნელის სედოვთან შეხვედრა.

„უნდა ვთქვა, — აჩვენებს ტერ-ვაგანიანი, — რომ არ ყოფილა არავითარი ლაპარაკი იმაზე, რომ ეს დირექტივა ტერორის შესახებ სედოვის პირადი აზრია. როდესაც სმირნოვი დაბრუნდა, მან მე და საფონოვას გაგვიმეორა თავისი ნალაპარაკევი".

ტერ-ვაგანიანი უპასუხებს ამხ. ვიშინსკის შეკითხვას, თუ რა მოსაზრებით უარყოფს ამას სმირნოვი, და სასამართლოს განუმარტავს: სმირნოვს ეშინია მთელი სიმართლე უთხრას სასამართლოს, ვინაიდან ამის შემდეგ იძულებული გახდება დაასახელოს მთელი რიგი პირები, რომლებსაც რაიმე საერთო ჰქონდათ ტერორთან.

კერძოდ, — ამბობს ტერ-ვაგანიანი, — სმირნოვს არ უნდა სთქვას, რომ 1928 წლიდან დაწყებული, მას სისტემატური კავშირი ჰქონდა ქართველ უკლონისტებთან. 1932 წელს საზღვარგარეთიდან ჩამოსვლის შემდეგ სმირნოვმა ინახულა ქართველი უკლონისტები, რომლებიც, როგორც ვიცით, 1928 წლიდან ტერორისტულად იყვნენ განწყობილნი.

ვიშინსკი (მიმართავს სმირნოვს): სმირნოვ, თქვენ ადასტურებთ, რომ კავშირი გქონდათ ქართველ უკლონისტებთან?

სმირნოვი. 1929 წელს მე ვხვდებოდი ოკუჯავას.

ტერ-ვაგანიანის შემდგომი ჩვენებიდან ირკვევა ი. ნ. სმირნოვის კავშირი შტიკგოლდის ტერორისტულ ჯგუფთან; ი. ნ. სმირნოვი შტიკგოლდს შეხვდა 1929 წელს ტერ-ვაგანიანის ბინაზე.

ი. ნ. სმირნოვი ცდილობს ამ ფაქტის უარყოფას. მაგრამ ტერ-ვაგანიანის ჩვენებით მხილებული, იგი ადასტურებს, რომ ასეთ შეხვედრას ადგილი ჰქონდა 1929 წელს.

ვიშინსკი: ტერორისტული იყო თუ არა შტიკგოლდის ჯგუფი?

ტერ-ვაგანიანი: დიახ, ტერორისტული იყო.

1931 წლის შემოდგომიდან, განაგრძობს ტერ-ვაგანიანი, იწყება ჩემი ძალიან მჭიდრო კავშირი და მეგობრობა ლომინაძესთან. ლომინაძეს მე არა ერთხელ შევხვედრივარ და ამ შეხვედრების დროს ლაპარაკი გვქონდა ბლოკის შესახებ.

(გაგრძელება მე-4 გვ.)

მატყუარები, პროვოკატორები, გამცემლები"... *)

ფაშიზმი ვა-ბანკს თამაშობს, და ის პოულობს მატყუარათა, პროვოკატორთა და გამცემთა მზამზარეულ კადრებს ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ბანდის სახით. ეს მახინჯები მართლაც ყველაზე გამოსადეგნი არიან ფაშისტების დაქირავებულთა როლისათვის. ფაშიზმი ტროცკისტ-ზინოვიეველ ბანდიტებში პოულობს იმავე გამოროტებულ სიძულვილს საბჭოთა კავშირისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, რაც თვით ფაშიზმს ახასიათებს.

ფაშიზმი ტროცკისტულ-ზინოვიეველ ტერორისტებში პოულობს საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის ყველაზე ამაზრზენ, ყველაზე საზიზღარ საშუალებათა არჩევაში თავილის უქონლობას, რაც ფაშისტებისათვის ფრიად სასურველია. ბოლოს, ფაშიზმი ტროცკისტ-ზინოვიეველ თვალთმაქცთა სახით პოულობს ნიღბულ მზვერავებს, რომელთაც ემარჯვებათ ნიღბის აფარება.

ინდივიდუალური თეთრგვარდიული ტერორი, შპიონაჟი, დივერსია — მთელი ეს „სკოლა" ტროცკისტ-ზინოვიეველმა ბანდიტებმა თავისი ლიდერების — ტროცკის, ზინოვიევისა და კამენევის ხელმძღვანელობით გაიარეს ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა ბრძოლის წლებში. ვიდრე მეტი: „მოწაფეებმა" ბევრად გადააჭარბეს მასწავლებლებს. ისეთი თვალთმაქცი, როგორიც იყო აზეფი, რომელიც ესერთა პარტიის თვალსაჩინო ხელმძღვანელი იყო და იმავე დროს სულით და გულით ემსახურებოდა მეფის ოხრანკას, — უსუსური ბავშვია ტროცკისტ-ზინოვიეველ კაცისმკვლელთა ბანდასთან და მათ ხელმძღვანელებთან შედარებით.

ზინოვიევი, კამენევი და მათი ბანდა ურიცხვჯერ საქვეყნოდ ეფიცებოდნენ პარტიას „ერთგულებას", ლანძღავდნენ საკუთარ თავს, რათა კვლავ განეგრძოთ კონტრრევოლუციური „მუშაობა". ადამიანები, რომლებიც ყოველთვის აფერთხებდნენ თავის შეხედულებებს სიტყვით, საქმით კი უცხოეთის ოხრანკებზე ჰყიდდნენ საბჭოთა ქვეყანას, პარტიის მოსისხლე მტრები, რომლებიც ფარისევლურად გამოდიოდნენ პარტიის ხაზის დასაცავად, რათა უფრო მარჯვედ, პარტიულ ბილეთს ამოფარებულთ ქურდულად დაემიზნებინათ რევოლვერი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთათვის! — რა შეიძლება იყოს ამ არამზადებზე უფრო საზიზღარი და ბილწი?

III.

ს. მ. კიროვის მუხანათური მკვლელობის შემდეგ, აგრეთვე პარტიული დოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის შედეგად პარტიამ თავისი რიგებიდან განდევნა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა იზოლირებულჰყვეს, როგორც ხალხის უბოროტესი მტრები, მრავალი თვალთმაქცი, რომელნიც პარტიული ბილეთით ჰფარავდნენ თავის საზიზღარ კონტრრევოლუციურ საქმიანობას. მაგრამ უწმინდურება ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გაწმენდილი, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოჩენილი და მხილებული ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფის ყველა ნაშთი, რომელიც მოწინავე რაზმია კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა სსრ კავშირის საზღვრებს იქით, ამ ბურჟუაზიის სურვილისა და ზრახვების გამომხატველია.

პარტიისა და, მუშათა კლასის უბოროტესი მტრები, გაერთიანებულნი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბელადთა წინააღმდეგ ინდივიდუალური თეთრგვარდიული ტერორის პლატფორმაზე, ცდილობენ უფრო ღრმად დაიმალონ პროლეტარული დიქტატურის დამსჯელ ხელს და მათ თვალთმაქცობა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობის სისტემად გადააქციეს.

ბოლშევიზმისადმი ღრმად მტრულია მსჯელობა, თითქოს თვალთმაქცობა ისეთი შენიღბვა იყოს, რომლის გამომჟღავნებაც არ შეიძლებოდეს. მსგავსი მსჯელობა მიმართულია იქით, რომ განაიარაღოს პარტია თვალთმაქცებთან ბრძოლაში, და იგი ტროცკისტ-ზინოვიეველი ბანდიტებისათვის არის ხელსაყრელი.

პარტიამ იცის, პარტიას ახსოვს, როგორ განუხრელად და ულმობელად ამხელდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციას ამხანაგი სტალინი. ცილისწამებისა და მოტყუების, შენიღბვისა და თვალთმაქცობის რა საზიზღარი საშუალებების გამოყენებაც უნდა ეცადათ ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს და მათ ხროვას თავის ბრძოლაში პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სტალინური მხილების დაუზოგავი, შემმუსრავი ძალა ყოველ ნაბიჯზე წააწყდებოდა ხოლმე გამცემლებს.

ამჟამად განსაკუთრებული ძალით გაისმის ამხანაგი სტალინის ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური სიტყვები მის მოხსენებაში პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წ. იანვარს:

„მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდა გააძლიერებს მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგობას. სწორედ იმიტომ, რომ ისინი კვდებიან და სულს ლაფავენ, ისინი თავდასხმის ერთი ფორმიდან გადავლენ თავდასხმის სხვა, უფრო მწვავე ფორმებზე, მიმართავენ მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებს და დარაზმავენ მათ საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ. არ არის ისეთი სისაძაგლე და ცილის წამება, რომელიც ამ ყოფილმა ადამიანებმა არ მიაწერონ საბჭოთა ხელისუფლებას და რომლის გარშემოც არ შეეცადონ ჩამორჩენილი ელემენტების მობილიზაციას. ამ ნიადაგზე შეიძლება გამოცოცხლდნენ და შეინძრნენ ძველი კონტრრევოლუციური პარტიები — ესერების, მენშევიკების, ცენტრისა და განაპირა მხარეების ბურჟუაზიული ნაციონალისტების დამარცხებული ჯგუფები, შეიძლება გამოცოცხლდნენ და „შეინძრნენ კონტრრევოლუციური ოპოზიციური ელემენტების ნაშთები ტროცკისტებისა და მემარჯვენე ოპორტუნისტების წრიდან, ეს, რა თქმა უნდა, საშიში არ არის. მაგრამ ყოველივე ეს მხედველობაში უნდა გვქონდეს, თუ გვსურს ამ ელემენტებს ბოლო მოვუღოთ სწრაფად და რაიმე საგრძნობი მსხვერპლის გაუღებლად.

აი ამიტომ რევოლუციური სიფხიზლე წარმოადგენს სწორედ იმ თვისებას, რაც განსაკუთრებით საჭიროა ახლა ბოლშევიკებისათვის" *)

ღრმა შენიღბვა — თეთრგვარდიელ ტერორისტთა ტროცკისტულ-ზინოვიევური ხროვის თვალთმაქცობა — ლენინ-სტალინის პარტია უპირისპირებს უდიდეს ბოლშევიკურ სიფხიზლეს. ეს სიფხიზლე ემყარება უდიდეს პასუხისმგებლობას პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე, განსაკუთრებულ სიმართლესა და პატიოსნებას პარტიის მიმართ, ულევ სიყვარულსა და ერთგულებას დიდი სტალინის მიმართ. ეს სიფხიზლე შეუთავსებელია უდარდელობისა, უზრუნველობისა და ლიბერალიზმის მცირედ გამომჟღავნებასთან.

IV.

თვალთმაქცი გამცემია, რომელიც გადავიდა მტრის მხარეს და ატარებს ნიღაბს, რათა ქურდულად მოჰკლას პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. პროლეტარული დიქტატურის მკაცრი ხელი იხელმძღვანელებს რევოლუციური კანონით და სასტიკად დასჯის თვალთმაქცებს უმძიმესი ბოროტმოქმედებისათვის.

საბჭოთა ქვეყანაში და მის საზღვრებს იქითაც თვითეული მშრომელი ივსება ზიზღისა და სიძულვილის გრძნობით ტროცკისტ-ზინოვიეველი ფაშისტი ბანდიტების მიმართ. პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს ახსოვთ ლენინის სიტყვები: „ჩვენ არ დავინდობთ როგორც ჩვენს მტრებს, ისე ჩვენი საკუთარი წრის ყველა მერყევ და მავნე ელემენტს, რომელნიც გაბედავენ დეზორგანიზაცია შეიტანონ ჩვენს მძიმე შემოქმედებითს მუშაობაში მშრომელი ხალხის ახალი ცხოვრების მშენებლობის დროს". *)

სსრ კავშირის მშრომელები გააძლიერებენ რევოლუციურ სიფხიზლეს, რასაც მუდამ გვასწავლიდა და გვასწავლის ამხანაგი სტალინი, და ბოლომდე გამოამჟღავნებენ და გასრესენ, როგორც მზამზარეულ ქვეწარმავალს, ტროცკისტულ ზინოვიევურ კაცისმკვლელებს — ხალხის მოსისხლე მტრებს.

„პრავდა"

---

*) იქვე. გვ. 224.

*) ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები". გვ. 603.

*) ვ. ი. ლენინი — თხზ. ტ. XXII. გვ. 433.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის პროცესი

ტერ-ვაჰანიანი განაგრძობს თავის ჩვენებას და ამბობს, რომ ამ პერიოდში დაიწყო ტროცკისტების მოლაპარაკება ზინოვიეველებთან და „მემემარცხენეებთან" გაერთიანების შესახებ. ამასთან გეზი ტერორზე სავსებით ცხადი იყო.

ვიშინსკი: როდის იყო ეს?

ტერ-ვაჰანიანი: ბერლინიდან სმირნოვის ჩამოსვლის შემდეგ.

ვიშინსკი: ამ პერიოდს ცხადი იყო თუ არ გეზი ტერორზე?

ტერ-ვაჰანიანი: დიახ, ცხადი იყო, ვინაიდან დირექტივა უკვე ჩამოტანილი იყო.

ტერ-ვაჰანიანი უპასუხებს ამხ. ვიშინსკის შეკითხვას თავისი პირადი ტერორისტული საქმიანობის შესახებ და ხაზს უსვამს, რომ იგი ტერორისტულ მუშაობას ეწეოდა სმირნოვისა და კამენევის ხელმძღვანელობით. კერძოდ ტერორის შესახებ მას ლაპარაკი ჰქონდა ზაიდელთან და ფრიდლანდთან.

ამხ. ვიშინსკი მთელი რიგი შეკითხვებით აზუსტებს ურთიერთობას ტერ-ვაჰანიანსა და ფრიდლანდს შორის ტერორისტული მუშაობის დარგში. ტერ-ვაჰანიანის პასუხით ირკვევა, რომ ტერ-ვაჰანიანი ფრიდლანდს აძლევდა მითითებებს ტერორისტული აქტების მოწყობის შესახებ.

ვიშინსკი: სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ იმაში, რომ თქვენ არა მარტო წევრი იყავით ისეთი ცენტრისა, რომელიც ისახავდა ტერორისტულ მიზნებს და ტერორისტული აქტების მოწყობას, არამედ თვითონ თქვენ აძლევდით ფრიდლანდს მითითებებს ტერორისტული აქტების მოწყობის შესახებ?

ტერ-ვაჰანიანი: თუ მთელ ჩვენს ლაპარაკს ამ დასკვნამდე მიჰყავხართ, მაშინ მე ამას აღვიარებ.

21 აგვისტოს საღამოს სხდომა

ბრალდებული ფრიც დავიდის (კრუგლიანსკის) დაკითხვა

21 აგვისტოს საღამოს სხდომაზე უკანასკნელმა მისცა ჩვენება ბრალდებულმა ფრიც დავიდმა (კრუგლიანსკიმ), რომელიც ტროცკიმ საზღვარგარეთიდან ტერორისტად გამოგზავნა და დაავალა მას მოეწყო ხელყოფა ამხანაგ სტალინზე.

ფრიც დავიდი უპასუხებს ამხ. ვიშინსკის კითხვებზე და სასამართლოს დაწვრილებით უჩვენებს, თუ 1932 წლის აგვისტოს როგორ დაუკავშირდა იგი სედოვს, ხოლო უკანასკნელის საშუალებით ტროცკის.

ვიშინსკი: როდის შეხვდით ტროცკის?

ფრიც დავიდი: მე მას შევხვდი 1932 წლის ნოემბრის დამლევს.

ვიშინსკი: მითხარით, ამ შეხვედრის დროს ტროცკისთან თქვენ გქონდათ ლაპარაკი ტერორის შესახებ?

ფრიც დავიდი: გვქონდა.

ვიშინსკი: ვისი თაოსნობით?

ფრიც დავიდი: ტროცკის თაოსნობით.

თავის ჩვენებაში ტროცკისთან საუბრის შინაარსის შესახებ ფრიც დავიდი აცხადებს: ტროცკი ლაპარაკობდა იმაზე, რომ სსრ კავშირში ტროცკისტების ჩადგომა ხელისუფლების სათავეში შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ სტალინს ფიზიკურად მოვსპობთ.

ერთერთ პერსპექტივად ტროცკი აყენებდა პორაჟენცობას ომის შემთხვევაში, მაგრამ ხაზს უსვამდა, რომ „ხელისუფლების სათავეში ტროცკისტების ჩადგომის უფრო ახლობელი პერსპექტივაა—სტალინის ფიზიკურად მოშორების პერსპექტივა.

— მე, — ამბობს ფრიც დავიდი, —ეს მეორე პერსპექტივა გავიზიარე.

ვიშინსკი: თქვენ სწორედ ასე უთხარით მას, რომ თქვენ იზიარებთ ამ გეზს, რომ ამის თანახმა ხართ?

ფრიც დავიდი: დიახ.

ფრიც დავიდი განაგრძობს თავის ჩვენებას და ამბობს, რომ ტროცკიმ მას ორი დირექტივა მისცა. პირველი დირექტივა კონსპირაციას შეეხებოდა.

„ტროცკიმ, — ამბობს ფრიც დავიდი, — წინადადება მომცა გავმგზავრებულიყავი სსრ კავშირში და ტერორისტული აქტი მომეხდინა პირადად, სხვების დაუხმარებლად, რაიმე ორგანიზაციის გარეშე, სხვა ტროცკისტებთან დაუკავშირებლად, ვინაიდან ეს საქმე რისკთან არის დაკავშირებული და არავითარი აზრი არა აქვს ამ რისკში სსრ კავშირის ტროცკისტული ორგანიზაცია ჩავაბათო. მეორე დირექტივა იმას შეეხებოდა, რომ ეს ტერორისტული აქტი საერთაშორისო ხასიათს უნდა ატარებდეს, იგი უნდა საერთაშორისო სხდომაზე მოხდეს. ეს გასროლა, ტროცკის გამოთქმით, მთელს მსოფლიოში უნდა გახმაურდეს".

„გარდა ამისა, — განაგრძობს ფრიც დავიდი, — ტროცკიმ წინადადება მომცა სსრ კავშირში თავი ისე დამეჭირა, რომ არ გამომეჩინა რაიმე გადახრა პარტიის გენერალური ხაზიდან, რომ ჩემი გამოსვლების დროს პრესაში მტკიცედ დამეცვა პარტიის ხაზი და რომ ტერორისტული აქტის შესრულების შემდეგ ძაფები არავითარ შემთხვევაში არ გამეხსნა".

ფრიც დავიდი 1933 წლის მარტს ჩამოვიდა სსრ კავშირში და შეხვდა ბერმან-იურინს, რომელმაც იგი მონახა სედოვის დავალებით.

ფრიც დავიდმა და ბერმან-იურინმა დაამუშავეს ამხანაგ სტალინზე თავდასხმის ორი კონკრეტული გეგმა: პირველი თავდასხმა — კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მე-13 პლენუმზე, მეორე — კომინტერნის VII კონგრესზე. ეს განზრახვანი ჩაიშალა, ვინაიდან მე-13 პლენუმს ამხანაგი სტალინი არ დასწრებია. კომინტერნის კონგრესზე შესვლა შესძლო მარტო ფრიც დავიდმა, რადგან ბერმან-იურინს მან ბილეთი ვერ უშოვა. ფრიც დავიდმა, მისი სიტყვით, ვერ შესძლო ტერორისტული აქტის შესრულება, იმიტომ რომ შეუძლებელი იყო ამხანაგ სტალინთან მიახლოვება.

ვიშინსკი: თქვენ კონგრესზე წახვედით იმიტომ, რომ თავდასხმა მოგეხდინათ?

ფრიც დავიდი: რასაკვირველია. VII კონგრესის შემდეგ ფრიც დავიდთან ორჯერ მივიდნენ ტროცკის შვილის სედოვის გამოგზავნილნი, რომლებიც სედოვის სახელით ბრალად სდებდნენ ტერორისტებს არასაკმაო აქტივობას და წინადადებას აძლევდნენ მათ დაეჩქარებინათ ტერორისტული აქტი თანახმად ტროცკის მითითებებისა.

ვიშინსკი: ეს შეხვედრები ხდებოდა თქვენი ტერორისტული გეგმების საფუძველზე?

ფრიც დავიდი: ეს შეხვედრები იმით იყო გამოწვეული, რომ VII კონგრესზე აქტი არ მოხდა, და ამან სედოვის განრისხება გამოიწვია.

ვიშინსკი: მაგრამ თქვენს გაგიქრათ ამ ტერორისტულმა განწყობილებამ, თუ იგი ბოლო დრომდე შეგრჩათ?

ფრიც დავიდი: დიახ, შემრჩა.

ვიშინსკი: რა დრომდე?

ფრიც დავიდი: დაპატიმრებამდე.

ვიშინსკი: ამრიგად, შეიძლება შეჯამება მოვახდინოთ. თქვენ იყავით ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი, პირადად ნახულობდით ტროცკის. ტროცკიმ პირადად გაგზავნათ სსრ კავშირში იმისათვის, რომ ტერორისტული აქტი შეგესრულებინათ, გაგაფრთხილათ, რომ [illegible] ყოფილიყავით კონსპირირებული. ამით აიხსნება, რომ თქვენ კავშირი არ დაიჭირეთ ტროცკისტული ორგანიზაციის სხვა წევრებთან, გარდა ბერმან-იურინისა. ბერმან-იურინთან ერთად, რომელმაც ანალოგიური დავალება მიიღო, თქვენ მოამზადეთ თავდასხმა ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ და ეს თავდასხმა შეუფარდეთ VII კონგრესს 1935 წელს. თქვენ პირადად შესძელით კონგრესზე შესვლა, კომინტერნში თქვენი ნაცნობობის გამოყენებით, რათა ეს აქტი შეგესრულებინათ, მაგრამ ეს თქვენ ვერ შესძელით თქვენგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო.

სსრ კავშირის პროკურორის ამხ. ვიშინსკის განცხადება

21 აგვისტოს საღამოს სხდომაზე ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ სსრ კავშირის პროკურორმა ამხ. ვიშინსკიმ გააკეთა შემდეგი განცხადება.

„წინა სხდომებზე ზოგი ბრალდებული (კამენევი, ზინოვიევი და რეინგოლდი) თავის ჩვენებაში ლაპარაკობდნენ ტომსკიზე, ბუხარინზე, რიკოვზე, უგლანოვზე, რადეკზე, პიატაკოვზე, სერებრიაკოვსა და სოკოლნიკოვზე, როგორც ისეთ პირებზე, რომლებიც მეტნაკლებად გარეული არიან მათს დანაშაულებრივ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში, რომლისათვისაც ამა საქმის ბრალდებულნი მიცემული არიან პასუხისგებაში. მე საჭიროდ მიმაჩნია მოვახსენო სასამართლოს, რომ გუშინ მოვახდინე განკარგულება ბრალდებულების ამ განცხადებათა გამოძიების დაწყების შესახებ ტომსკის, რიკოვის, ბუხარინის, უგლანოვის, რადეკისა და პიატაკოვის მიმართ, და ამ გამოძიების შედეგებისდამიხედვით პროკურატურა კანონიერ მსვლელობას მისცემს ამ საქმეს. რაც შეეხება სერებრიაკოვსა და სოკოლნიკოვს, საგამომძიებლო ორგანოების განკარგულებაში უკვე ახლა მოიპოვება მასალა, რითაც მჟღავნდება ამ პირთა მონაწილეობა კონტრრევოლუციურ დანაშაულობებში, რის გამო სოკოლნიკოვი და სერებრიაკოვი მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

○

21 აგვისტოს საღამოს სხდომის დასასრულს ბრალდებულმა დრეიცერმა უპასუხა ამხ. ვიშინსკის კითხვას ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის კონტრრევოლუციური საქმიანობის ზოგიერთი დეტალის თაობაზე და განაცხადა, რომ ტროცკისტთა ტერორისტული მუშაობის ერთერთი აქტიური მონაწილე იყო პუტნა—ძველი აქტიური ტროცკისტი.

დრეიცერის სიტყვით, პუტნა თვალთმაქცური მიზნით დროზე ჩამოშორდა ტროცკისტებს, მაგრამ უკანასკნელ დრომდე განაგრძობდა თავის ღრმა კონსპირირებულ მუშაობას ტროცკისტული ცენტრისათვის, კერძოდ, აჩვენებს დრეიცერი, პუტნას უშუალო კავშირი ჰქონდა ტროცკისთან, ხვდებოდა ი. ნ. სმირნოვს და 1932 წელს დრეიცერის საშუალებით სმირნოვს გადასცა ტროცკის ზეპირი დირექტივა ტერორისტული ჯგუფების მოწყობის შესახებ. ბრალდებული სმირნოვი განაგრძობს თავის ტაქტიკას და ცდილობს უარყოს ტროცკისტთა ტერორისტულ საქმიანობაში პუტნას მონაწილეობის ფაქტი. მაგრამ ამხ. ვიშინსკის შეკითხვებზე ბრალდებულნი პიკელი, რეინგოლდი და ბაკაევი ადასტურებენ დრეიცერის ჩვენებას.

ბრალდებულთა დაკითხვის გათავების შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ულრიხი სასამართლოს გამოძიებას დამთავრებულად აცხადებს.

22 აგვისტოს სასამართლოს სხდომა გაიხსნება 11 საათსა და 30 წუთზე სახელმწიფო ბრალმდებლის სსრ კავშირის პროკურორის ამხ. ა. ვიშინსკის სიტყვით.

გაერთიანებული სახელმწიფო გამომცემლობის პარტიულ კრებაზე

(ტელეგრაფით მოსკოვიდან)

გაერთიანებულ სახელმწიფო გამომცემლობაში (ოგიზ) მესამე დღეა მიმდინარეობს პარტიული კრება, რომელიც იხილავს მოსკოვის კომიტეტის წერილს პარტიული ორგანიზაციებისადმი. იმის გამო, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ცენტრის პროცესზე ზოგი ბრალდებული (კამენევი, ზინოვიევი და რეინგოლდი) აღნიშნავდნენ ყოფილი მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერების მონაწილეობას ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ბანდის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პარტიულ კრებაზე განცხადებით გამოვიდა ტომსკი.

ტომსკიმ აღიარა, რომ მან პარტიას დაუმალა თავისი შეხვედრები და კონტრრევოლუციური ლაპარაკი 1929 წელს კამენევთან საერთო ბლოკის შექმნის შესახებ. ტომსკიმ აგრეთვე აღიარა, რომ კამენევთან შეხვედრის მეორე დღეს მან ბუხარინსა და რიკოვს აცნობა ამ მოლაპარაკების ამბავი. შემდეგ ტომსკიმ კრებას აცნობა, რომ კამენევთან ერთერთი შეხვედრის დროს 1932 წელს იგი, ტომსკი ჩიოდა, რომ პარტია „ცუდად მეპყრობაო". იგი კამენევს ეუბნებოდა. „მე მირტყამენ, მჩაგრავენო". ამ შეხვედრების შემდეგ კამენევი არაერთხელ შედიოდა ტომსკისთან გაერთიანებულ სახელმწიფო გამომცემლობაში და ისინი საუბრობდნენ „ყველაფერზე და არაფერზე".

ტომსკისა და კამენევს შორის ეს დამოკიდებულება თანდათანობით ძლიერდებოდა. ტომსკიმ კამენევს დაუწყო ყოველგვარი პირადი სამსახურის გაწევა. ტომსკის არაერთხელ ნახულობდა ზინოვიევიც, რომელსაც ტომსკი აგრეთვე შესჩიოდა პარტიის მხრივ „ცუდი მოპყრობის" თაობაზე. ტომსკიმ განაცხადა, რომ ზინოვიევმა იგი რამდენჯერმე მიიპატიჟა თავის აგარაკზე. ტომსკიმ აღიარა, რომ კამენევი ერთერთი საუბრის დროს 1932 წელს მას ეკითხებოდა, იცი თუ არა, რომ ხელიდან ხელში გადადის მემარჯვენეთა რაღაც დოკუმენტიო. ტომსკიმ ვითომც მხრები აიჩეჩა და განაცხადა. ამის შესახებ არაფერი ვიციო.

იმავე 1932 წელს ტომსკისთან მოვიდა ვინმე ქიროვი, რომელმაც გადასცა მას სალამი ყოფილი მემარჯვენე ოპოზიციის აქტიური მონაწილის სლეპკოვისაგან შეხვედრისა და მიწერ-მოწერის თხოვნით.

კრების მონაწილეთა ზეგავლენით ტომსკი იძულებულია ილაპარაკოს სხვა შეხვედრებზედაც ანტიპარტიულ ელემენტებთან. ასე, შლიაპნიკოვი, როგორც კი დაბრუნდა გადასახლებიდან, მივიდა ტომსკისთან გაერთიანებულ სახელმწიფო გამომცემლობაში. ტომსკის ბინაზე მიდიოდა უგლანოვიც. ტომსკი ხვდებოდა აგრეთვე პარტიიდან გამორიცხულ ა. პ. სმირნოვს, ისმენდა მის ანტისაბჭოთა აზრებს და მას არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა. ტომსკი აღიარებს, რომ ყველა ეს პირნი იმიტომ დადიოდნენ ჩემთან, რომ „გამოერკვიათ ჩემი განწყობილებაო".

ყოველივე ეს ტომსკიმ პარტიას დაუმალა.

კრებაზე აშკარავდება ტომსკის უმსგავსი თვალთმაქცობა. როგორც ვიცით, 1929 წელს იგი მემარჯვენე ოპოზიციის სხვა ლიდერებთან ერთად მთლიანად და სავსებით აღიარებდა პარტიის ხაზის სისწორეს. ახლა კი აცხადებს, რომ ნამდვილად იგი პარტიის ხაზს მხოლოდ ძირითადად აღიარებდა.

ტომსკი კრებაზე ცდილობდა ყოველგვარად დაეპატარავებინა თავისი როლი კამენევთან, ზინოვიევთან და კონტრრევოლუციური ტერორისტული ბანდის სხვა მონაწილეებთან მოლაპარაკებაში, მაგრამ კრებისათვის სავსებით ნათელი გახდა ტომსკის გამცემლური მოქმედება. შეიძლება ეჭვი არ გვქონდეს, რომ ტომსკი ახლაც მალავს თავის კავშირს ბლოკის მონაწილეებთან.

მ. კუზნეცოვი

(„პრავდა", 22/VIII)

◇ ◇ ◇

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ცნობა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრობის კანდიდატმა მ. პ. ტომსკიმ, რომელიც გაიხლართა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ტერორისტებთან კავშირში, 22 აგვისტოს თავის აგარაკზე ბოლშევოში მოიკლა თავი.

სურათზე: —რუსთაველის პროსპექტი.

მსროლელთა საკავშირო შეჯიბრება

1 სექტემბერს კიევში იწყება თავდაცვა-ავიაქიმიელი მსროლელების საკავშირო შეჯიბრება, რომელიც 10 სექტემბრამდე გასტანს. საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან მიემგზავრება 15 საუკეთესო მსროლელი—ლევან მელაძე, გრ. კამკამიძე, როსტომ კობეროვი, ჭ. ჩხობაძე, მირიან ელიავა, მიხ. ხომასურიძე, სერგო ბერდნიკოვი, ალ. საკვარელიანი, სიმ. [illegible], ო. სოკოლოვი, ეკატერინე კამკამიძე, ვ. ოლშევსკი, ივ. [illegible] და თამარ მესხი. მსროლელები განაწილებულნი არიან სამ ჯგუფად; თითეულ ჯგუფს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, ხოლო საერთო ხელმძღვანელობა დავალებული აქვს გრ. კამკამიძეს.

კიევში გამგზავრების წინ თავდაცვა-ავიაქიმის [illegible] კომიტეტმა მათ თავი მოუყარა და გამართა პრაქტიკული ვარჯიში საკავშირო შეჯიბრებათა პროგრამის მიხედვით. ვარჯიშს უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა თავდაცვა-ავიაქიმის თავმჯდომარე ამხ. დ. გიორგაძე.

კიევში გამგზავრების წინ მსროლელებმა ინახულეს თავდაცვა-ავიაქიმის თავმჯდომარე ამხ. დ. გიორგაძე, რომლისგანაც მიიღეს შეჯიბრებაში მონაწილეობის საგზური.

○

ძველი ნივთების შესასყიდი პუნქტები

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ქალაქში ძველი და ნახმარი საოჯახო ნივთებისა და [illegible] მოსახლეობისაგან შესასყიდი 11 პუნქტის გახსნის შესახებ. 5 შესასყიდი პუნქტი გაიხსნება ქალაქის იმ უბნებში, რომლებიც დაშორებულნი არიან ბაზრებს, ხოლო 6 პუნქტი გაიხსნება ბაზრებზე.

ძველი ნივთების შესასყიდად სათანადო სავაჭრო ორგანიზაციებმა „ტფ. სამრეწველო საქონლის ვაჭრობამ", სარეწაო კავშირმა და კოოპკავშირმა უნდა იყოლიონ შემსყიდველთა შტატი. „ტფილმრეწვაჭრობამ"—25 შემსყიდველი, სარეწაო კავშირმა—20 და კოოპკავშირმა 25 კაცი.

მოსახლეობისაგან შესყიდული ნივთების გასასაღებლად გამოყოფილი იქნება 8 მაღაზია. მათ შორის 5 ბაზრებზე და 3 ბაზრებს დაშორებულ უბნებში.

ფეხით გადასვლა ტფილისი—ბათომი

ტფილისში დაბრუნდნენ ა.-კ. სამხედრო ოლქის კავშირგაბმულობის ათასეულის მეთაურთა ცოლები — ფეხით გადასვლის მონაწილენი მარშრუტით ტფილისი — ბათომი.

428 კილომეტრი ძლიერ გადაკვეთილ ადგილებში (რიკოთის უღელტეხილი და სხვ.), — ამბობს გადასვლის კომანდორი ამხ. ბოიარჩენკო, — გავიარეთ 12 სასიარულო დღეში. გადასვლის უძნელესი პირობების მიუხედავად, ყველა მონაწილე ჯანსაღად გამოიყურება.

გადასვლის მონაწილეებმა გზაში ჩაატარეს დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა ახალი საბჭოთა კონსტიტუციის და აბორტების საწინააღმდეგო კანონის შესახებ. მათ კოლმეურნეებს განუმარტეს აგრეთვე გადასვლის მნიშვნელობა.

ფინიშზე (ბათომში) აღფრთოვანებული მიღების შემდეგ გადასვლის მონაწილეებმა დაათვალიერეს ქალაქის და მისი მიდამოების ღირსშესანიშნავი ადგილები, ეწვიენ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, ჩაის ფაბრიკას, იყვნენ მახინჯაურში.

○

კადრები სამხრეთ-ოსეთის თეატრისათვის

ლენინგრადის თეატრალურ ინსტიტუტთან გაიხსნა ოსიური სათეატრო სახელოსნო. სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო თეატრი იქ სასწავლებლად გზავნის 23 ახალგაზრდას, მათ შორის 7 ქალს. სამი წლის სწავლის შემდეგ ისინი სამუშაოდ დაბრუნდებიან სამშობლოში.

17 აგვისტოს სახ. თეატრის კოლექტივმა ზეიმით გააცილა ლენინგრადში ახალგაზრდა მსახიობები.

ტურნირი ნოტინგემში

მეცხრე ტური

მეცხრე ტურის ცენტრალური პარტია—[illegible] [illegible]-44 სვლაზე ყაიმით დასრულდა.

ფლორმა მე-58 სვლაზე მოუგო ვიდმარს, კაპაბლანკა—რეშევსკის გადადებულ პარტიაში უკეთესი მდგომარეობა აქვს კაპაბლანკას.

ტეილორ—ტომასის პარტია ყაიმით დასრულდა. ბოგოლიუბოვმა მოუგო ალექსანდერს და ტარტაკოვერმა—ვინტერს.

მეათე ტური

მეათე ტური აღინიშნა ამერიკის ორივე წარმომადგენლის გამარჯვებებით: რეშევსკიმ მოუგო ტეილორს, ხოლო ფაინმა — ბოგოლიუბოვს.

ეივე—ფლორის პარტია ყაიმით დასრულდა, ალეხინმა მოუგო ვინტერს, ლასკერმა—ტომასს და ალექსანდერმა — ტარტაკოვერს. ვიდმარ—კაპაბლანკას პარტია გადაუთამაშებელი დარჩა პირველის ავადმყოფობის გამო. ამ დღეს ბოტვინიკი თავისუფალი იყო.

წინა ტურებიდან გადადებულ პარტიაში ფლორმა მოუგო ტომასს, კაპაბლანკამ რეშევსკის.

მეათე ტურის შემდეგ შეჯიბრების მდგომარეობა ასეთია: ეივე—6½ (1 გადადებული მდგომარეობაში), ბოტვინიკი და ფაინი 6½, ფლორი— 5½, რეშევსკი—5 (1 გად.) ვიდმარი—4½ (1 გად.), ბოგოლიუბოვი—4½, ლასკერი—5, ტარტაკოვერი—4 (1 გად.), ალეხინი 4½ (3 გად.), კაპაბლანკა—3½ (3 გად.), ტეილორი—, ტომასი—2½, ვინტერი—1½ და ალექსანდერი—2.

○

მეთერთმეტე ტურში თამაშობდნენ კაპაბლანკა—ეივე, ლასკერი—რეშევსკი, ტარტაკოვერი — ფაინი, ტეილორი—ვიდმარი, ბოტვინიკი—ტომასი, ალეხინი—ალექსანდერი და ფლორი—ვინტერი. თავისუფალი იყო ბოგოლიუბოვი.

◇

თელავის თეატრში

თელავის სახელმწიფო თეატრი შეუდგა სამზადისს 1936—37 წლის სეზონისათვის. თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგედ და მთავარ რეჟისორად მოწვეულია გალაკტიონ რობაქიძე.

დასი შევსებულია ნიჭიერ მსახიობთა კადრებით. წელს თეატრში იმუშავებენ ქალები: **ნ. შავიშვილი, თ. ლეონიძე, რ. მამაცაშვილი, ქ. მაჭავარიანი და თ. წულაძე**; ვაჟები: **ვ. ლალიძე, ვ. ჩელიძე, მ. ლეკიშვილი, ა. კობახიძე**, [illegible], **მ. ციხელაშვილი** და სხვ.

სეზონის გახსნა განზრახულია 15 ოქტომბერს.

ა. დ.

◇

შემთხვევები

# დაჭრა. წვრილყალიბიანი შაშხანის შემთხვევით გასროლით ა. გაბადაძემ (ბესიკის ქ. № 29) დასჭრა თავისი ბიძაშვილი ი. გაბადაძე (მგალობლიშვილის ქ. № 14). დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს. ა. გაბადაძე შეიპყრეს.

ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე რ. ზიმჩევამ ([illegible]) მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი ნაუმენკო. დაჭრილი საავადმყოფოში მოათავსეს.

პირადი ანგარიშების ნიადაგზე ნ. ხიზანაშვილმა (იერევნის ქ. № 10) მძიმედ დასჭრა გ. ი. არზუმანაშვილი. დაშავებულს დახმარება აღმოუჩინეს, ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

# ხულიგნები. დიდუბის [illegible] მოქალაქეთა შეურაცხყოფისათვის შეიპყრეს ი. ავალიშვილი (სოფ. ბარამაქიანი), ს. საღარაძე (სოფ. ალავერდი) და ი. ზ. ზურაბიშვილი (კომუნალური ქ. № 97).

◇

პარტკალენდარი

ამხ. რ. ი. ყავრიშვილს და ა. [illegible]შვილს წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ 25 აგვისტოს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ საქმეთა ჯგუფში ამხ. მეტონიძესთან, რუსთაველის პრ. № 23, ოთახი № 14.

დღეს, 23 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში შესდგება ამხ. პ. შარიას ლექცია პროპაგანდისტებისა და პარტაქტივისათვის თემაზე **„სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში და კონტრრევოლუციური ტროცკიზმი".**

შესვლა პარტიული ბილეთებით.

მიიღება ხელისმოწერა
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტის"
ყველა გამოცემაზე
1936 წლის სექტემბრისთვის და წლის ბოლომდე

გაზეთების და ჟურნალების დასახელება	პერიოდულობა	ხელისმოწერის ფასი ერთი თვით მან.	კაპ.	5 თვით, წლის ბოლომდე მან.	კაპ.
გაზეთები:					
„კომუნისტი"	ყოველდღიური	2	50	10	00
„პროლეტარი" (სომხ. ენ.)	〃	2	50	10	00
„ენი-ქენდი" (თურქულ ენ.)	〃	1	25	5	00
„ახალგაზრდა კომუნისტი"	〃	2	50	10	00
„ნორჩი ლენინელი"	ექვსდღიური	—	25	1	00
ჟურნალები:					
„პარტიული მშენებლობა"	ყოველთვიური		50	2	00
„მშრომელი ქალი"	ყოველთვიური	—	40	1	60
„ბოლშევიკი"	〃	—	50	2	00
„ახალგაზრდა ბოლშევიკი"	〃	—	50	2	00
„პიონერი"	〃	—	50	2	00
„ოქტომბრელი"	〃	—	50	2	00
„კარმირ-წილიერი" (სომხ. ენ.)	〃	—	50	2	00
„ენი-ქიუვი" (თურქულ ენ.)	〃	—	50	2	00

ხელისმოწერა უნდა ჩაბარდეს „სოიუზპეჩატს", ფოსტას, წერილმატარებლებს, ხელისმომწერთა შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში. პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე.

უკანასკნელი ვადაა 27 აგვისტო.

1935/36 სასწ. წელს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი I (კიროვის რ.), II (სტალინის რ.) და IV (ლენინის რაიონი) მოზრდილთა საშუალო სკოლები გაერთიანებულია ერთ სკოლად პლეხანოვის ქ. № 166.

აღნიშნული სკოლების ყველა კლასის მოწაფეები, რომელთაც დანიშნული ჰქონდათ განმეორებითი გამოცდები, უნდა გამოცხადდნენ გაერთიანებულ სკოლაში ა. წ. 25 აგვისტოს. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

641 **განსახკომის მოზრდილთა განათლების სამმართველო.**

მშობლები: გერასიმე, ლიზა ინწკირველები შვილებით მარიათი და დოდონათი, სიძე გალაქტიონ სეფერთელაძე შვილებით ციაათი, და გედევანით იუწყებიან, რომ 30 აგვისტოს 12 საათზე ბახვში (გურია) დანიშნულია ვანიკა **ინწკირველის** პანაშვიდი. 15710

განსახკომის საბავშვო სახლების სამმართველოს თანამშრომლები: ს. სიგუა, ი. გოფმანსკი და ა. ჯოჯიშვილი ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ივ. ძინძიბაძეს მისი ძვირფასი მეუღლის და მეგობრის **ოლენას** გარდაცვალების გამო. 15769

ბ ა ლ ა ნ ს ი

საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატისა 1936 წლის პირველი იანვრისათვის და მისი შეფარდება 1935 წლის პირველი იანვრის ბალანსის მონაცემებთან

ა ქ ტ ი ვ ი	1935 წლ. 1-ლ იანვრისათვის	1936 წლ. 1-ლ იანვრისათვის	პ ა ს ი ვ ი	1935 წლ. 1-ლ იანვრისათვის	1936 წლ. 1-ლ იანვრისათვის
1. ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა.			1. საწესდებო ფონდი	21398 9—37	2612707—39
ა) ძირითადი საშუალებანი მომქმედი	646321—04	1686504—16	2. საამორტიზაციო ფონდი	169242—92	253488—31
2. ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო და მომსახურებითი მნიშვნელობისა	75865—67	75865—6	3. სპეცფონდები	81,8 6—32	45.588—05
3. ანგარიშსწორება კაპიტალურ მშენებლობასთან	8024—13	2167—12	4. რეზერვები	69,648—47	71,849—59
4. საწარმოო მარაგი საწყობში და გზაში	2537531—99	3041340—08	5. გრძელვადიანი კრედიტორები	17,000——	17,000——
5. დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარ ფ.	88938—19	438155—85	6. მოკლევადიანი (სახ. ბანკ.) კრედ.	37[illegible]7579—41	3930 2[illegible]—40
6. საქონელი და მზა ნაწარმი საწყობში, გზაში, გადაგზავნილი და სარეალიზაციოდ გამოყოფილი ფასეულობანი	1437751—64	1116183—57	7. კრედიტორები	1489 13—68	429132—77
7. ფულადი საშუალებანი	33764—30	44496— 9	8. მომავალი პერიოდის შემოსავალი	93,000——	107,000——
8. დებიტორები	242 91—55	237791—67			
9. მომავალი პერიოდის ხარჯები	107684—[illegible]	148757—18			
10. გამოყოფილი საშუალებანი	73,656—14	60119—07			
11. შ ე დ ე გ ი					
ა) ზარალი საანგარიშგებო წლისა	1615891—42	403906—65			
ბ ა ლ ა ნ ს ი.	7857500—17	7469794—51	ბ ა ლ ა ნ ს ი.	7857500—17	7469794—51

დირექტორი: ა. კ ე კ ე ლ ი ა   მთ. ბუხჰალტერი: გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი.

ეს ბალანსი განხილულია საქ. ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის სპეც. კომისიაში, დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის კომისრის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1566   საქ. ადგ. მრეწვ. სახკ. კომ. მთ. ბუხჰალტერი: **პლ. ჯანელიძე.**

ექიმი ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავადება
მიღება დილის 8—9 ს. და სღ. 6—8 საათ.
მისამართი: კამოს ქ. № 72

გულდათუთქული დები: ციცინო, ნატაშა, მარუსია, რძალი შურა შვილით ბიძინათი, ძმა ბიქტორი ცოლშვილით, სიძეები: ისიდ ქადეიშვილი, პანტე კვარაცხელია იუწყებიან ძვირფას კაკო (კალისტრატე) ვანოს-ძე **შავდიას** უდროოდ გარდაცვალებას. 15780

ურანიშვილი, კამკამიძე, ლორწკაია, ცაგარეიშვილი, შოთაძე, ფრუიძე, [illegible], ციბაძე, ხარაძე, ბუზნიკაშვილი, [illegible], ჯოჯუა, [illegible], ჯავახიშვილი იუწყებიან კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ინჟინერ აბდალაძის მამის **ტრიფონ აბდალაძის** გარდაცვალებას. 15755

ტფილისის საბჭოს ბიბლიოთეკის თანამშრომლები ღრმას მწუხარებას გამოთქვამენ ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომლის, ჩვენი ძვირფასი და დაუვიწყარი მეგობრის **ქეთო გიორგის-ასულ ავალიშვილის** უდროოდ დაკარგვის გამო. 15782

ამხანაგები: ბ. [illegible], კალანდაძე, ელიავა, ჩიხლაძე, მიმინოშვილი, [illegible], დუმბაძე, მეგრელიშვილი, გოცირიძე, ჩიქოვანი, აბელიდიანი, გაბუნია მწუხარებით იუწყებიან რესპ. საავტ. სამმართველოს გორის განყოფილების მმართველის **ვალიკო რუხაძის** უდროოდ გარდაცვალებას. 15760

დედა სალომე ხელუფლიშვილი, შვილები: გოგი, შოთა უკლებები, გაზრდილი ელენე იუწყებიან **ელენე ანტონის-ასულ უკლებას** გარდაცვალებას, დაკრძალვა 25 აგვისტოს 5 საათ. ს. პანაშვიდი, [illegible] 8 ს. [illegible] 64 15783

ბიძა ვასილ, ბიცოლა ვერა, შვილები: მეტე, დუშა, პანდიკო [illegible], რძალი შურა პატარა მაყვალათი მწუხარებით იუწყებიან **ლეო სამსონის-ძე ზარქუას** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. ხობში. 15771

დამწუხრებული მეუღლე კატო, ქალი [illegible], ცოლისდა მატრონე შვილებით: ნინო, ნადია, თამარ, კატო ბოჭორიშვილები იუწყებიან **გოგი სოფრომის-ძე ციხისელის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ბარში (რაჭა) 23 აგვისტოს 15765

დამწუხრებული ბაბუა მალაქია, ბებია მელია გაბელაიები, სიძე ბიქტორ კაჭარავა შვილით ლაზარით, დეიდები: ლუშა, ნათელა გაბელაიები იუწყებიან საყვარელ **ამირან იოსელიანის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა აბაშაში, 23 აგვისტოს. 15767

ხ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 8551